სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 21 ივლისი 2008 №166 (3390)

ფასი 50 თეთრი

ემაილესი და ეპმერროდ?!

კლუბმა, რომელმაც ქართულ ფეხბურთში წესი და რიგი შემოიტანა, უკან დაიხია

ფედერაციის ნუსხა... სამხრეთული კუპერი და პეკერმანი

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ორ რეალურ კანდიდატს, გერმანელ ფოლკერ ფინკეს და არგენტინელ ექტორ რაულ კუპერს, ასევე არგენტინელი, ხოსე პეკერმანი დაემატა.

პეკერმანი აქამდე სავარაუდო მწვრთნელთა გაფართოებულ სიაში ახსენეს, რომელშიც სხვა ბევრი სახელიანი თუ უსახელო მწვრთნელი ეწერა, მაგრამ, როცა სია გაიცხრილა, პეკერმანი აღარავის უხსენებია.

პეკერმანმა არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებს სამჯერ მოაგებინა მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ როცა არგენტინის ეროვნულ ნაკრებს წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე უთავკაცა, გერმანიასთან მეოთხედფინალში პენალტების სერიაში დამარცხდა. მას შემდეგ ეს კაცი, ვისაც ტალანტების აღმოჩენის სპეციალისტს ეძახიან, უმუშევარია.

ჩვენ კი საღღეისო ვთქვათ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შეთავაზებაზე თანახმანი არიან ფოლკერ ფინკე და ხორვატი პეტარ სეგრტი, ვინც ბოლო ორ ამხანაგურ მატჩში ნაკრების მწვრთნელი გახლდათ...

ექტორ კუპერი დღეს იტყვის საბოლოო პასუხს, პეკერმანი კი ალბათ შორეული პერსპექტივა იქნებოდა, რომ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი, რომელმაც 28 ივლისს უნდა შეარჩიოს ნაკრების მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადრე ჯუბილაძის ფოტო

ჯერ მუხლი, მერე კლუბი

ლევან ცქიტიშვილი: ფოლკერ ფინკე საქართველოს ნაკრებს ესადაგება



ბაბილო ჯიმშელაძის ფოტო

სად გაგრძელდება ლევან ცქიტიშვილის კარიერა, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ, ჯერჯერობით კი „ცქიტო" არცერთ კლუბში არ არის, თან მუხლი აწუხებს და დღე-დღეზე გამოჯანმრთელდება.

მოკლედ, რაც უნდა ცუდი იყოს, საქართველოს ნაკრების ნახევარმცველისთვის ბოლო დროს საკლუბო კარიერა ცუდად აეწყო.

„ვოლფსბურგიდან" წამოსვლის შემდეგ მან ვერსად ითამაშა ისე, როგორც სჩვევია, ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში" იყო, თუმც ინტერტოტოს თასის მატჩებში არ გამოჩენილა. ლევანს პირად ამბებზეც ვკითხეთ და, ცხადია, ფოლკერ ფინკეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში შესაძლოა გათავკაცებაზეც — „ცქიტო" ხომ ფინკეს „ფრაიბურგში" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ...

— მუხლი სად იტკინე?

— ვარჯიშზე. წესით, აქამდე უნდა მომერჩინა, მაგრამ მაინც მაწუხებს. სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში მწყობრში ვიქნები.

— ახლა ისევ უკლუბოდ ხარ. რას აპირებ, გაქვს რაიმე წინადადება?

— ჯერ ტკივილმა გამიაროს. მანამდე ვერაფერს გეტყვით, თვითონაც არ ვიცი ვარიანტებზე. რეალური წინადადება არ მიმიღია.

— შესაძლოა, ისევ „ლოკომოტივში" ითამაშო?

— არ არის გამორიცხული. ფეხბურთელის ცხოვრება ისეთია, ხან ასე შეტრიალდება, ხან ისე...

— ამასობაში ნაკრებში, შესაძლოა, ფოლკერ ფინკე დაინიშნოს მწვრთნელად, ვისთან ერთადაც „ფრაიბურში" რამდენიმე წელი გიმუშავია. შეგიძლია გვითხრა, რატომ არის საქართველოს ნაკრებისთვის ფინკე კარგი ვარიანტი?

— ვერ ვიტყვი, რომ ფინკე რევოლუციას მოახდენს საქართველოს ნაკრებში და მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანს გუნდს. თუმცა ის პროფესიონალი მწვრთნელია, კარგი კვალიფიკაცია აქვს, კარგი პიროვნებაა და აქედან გამომდინარე, ცუდი არ იქნება არჩევანის მასზე გაკეთება. ამასთან, ფინკე სამართლიანია — „ფრაიბურგში" შრომას არავის უკარგავდა.

— ბევრი მწვრთნელი სახელებს აქცევს ყურადღებას. ფინკე ყოველთვის იმას ათამაშებდა, ვინც კონკრეტული თამაშისთვის უკეთეს ფორმაში იყო?

— დიახ, ის არ ერიდებოდა გამოცდილი და სახელიანი ფეხბურთელის სკამზე დასმას. სამართლიანი კაცია.

— ფინკეს სათამაშო სტილი რამდენად ესადაგება საქართველოს ნაკრებისას?

— მე ვიტყოდი, რომ ძალიან ესადაგება. „ფრაიბურგში" მას არასოდეს მოსწონდა, თუ ბურთს ვინმე უაზროდ მოიგერიებდა. ამასთან, გვთხოვდა, რაც შეიძლება, დაბალი პასებით გვეთამაშა, არ მოსწონდა, ბურთი რომ მაღლა იყო. ქართველებს ეს კარგად გამოგვდიოდა.

— და მისი „ფრაიბურგი" უფრო შეტევაზე იყო ორიენტირებული. ასე არ არის?

— გააჩნია, ვის ვხვდებოდით, სად და რა ანგარიში იყო. ყოფილა მატჩები, დაცვიდან გვითამაშია. მწვრთნელი იმისაა, შეტევითი ფეხბურთისთვისაც უნდა მოემზადოს და დაცვისთვისაც.

— ფინკეს კონფლიქტები ხშირად ჰქონია?

— პატარა კონფლიქტი, მგონი, ყველა მწვრთნელს ჰქონია, უამისოდ წარმოუდგენელიც კია, რადგან გუნდში ყველა კმაყოფილი ვერ იქნება. ჩვენთან, ქართველებთან არასოდეს ჰქონია კონფლიქტი. ფინკემ ზუსტად იცის, რომ თუ რაღაც გაუგებრობაა, უნდა აგიხსნას. ყოველთვის გვიხსნიდა, როცა საჭირო იყო.

— მას თბილისში დახვდი და, ფაქტობრივად, მეგზურობას უწევდი. რამდენად კმაყოფილი წავიდა საქართველოდან?

— საკმაოდ კმაყოფილი წავიდა. საგურამოს ბაზა ძალიან მოეწონა. ალალად თქვა, აქ სიამოვნებით ვიმუშავებდიო და ვნახოთ...

— რაც ფინკე თბილისიდან გერმანიაში დაბრუნდა, აღარ დაკავშირებიხართ ერთმანეთს?

— არა. მან თქვა თავისი მოთხოვნები, ახლა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადასაწყვეტია, უღირთ თუ არა ფინკესთან მუშაობა. ვიმეორებ: ვერ ვიტყვი, რომ ფინკე ააშენებს საქართველოს ნაკრებს, მაგრამ შედეგის მიღწევა შეუძლია.

ილია ნანობაშვილი

დემეტრაძემ დუბლებში გაიტანა

უკრაინის ჩემპიონატში პირველი ტური გაიმართა. „ტავრიამ" და „დნიპრომ" ადრე ითამაშეს, გუშინ კი საქმეში სხვა ქართველთა გუნდებიც ჩაებნენ.

ოდესის „ჩერნომორეცმა" 0:1 წააგო კიევის „არსენალთან". ოდესელი კახა მჟავანაძე სათადარიგოთა შორის დარჩა, კიეველმა გიორგი დემეტრაძემ კი წინა დღით დუბლებში ითამაშა ბოლო ნახევარი საათი და გოლიც გაიტანა.

გიორგი ციმაკურიძის „ზარია" შინ 1:1 ეთამაშა ხარკოვის „მეტალისტს", ჩვენებური 77-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ადამია მომეწონა, მაგრამ არ ვიყიდი

ინტერტოტოს თასზე ბოლო ეტაპია და ქართველთა გუნდებს უეფას თასზე გადასვლის კარგი შანსი აქვთ.

გიორგი ადამიას „ნეფთჩიმ" შინ 2:1 მოუგო რუმინულ „ვასლუის" და ჩვენებურიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ადამიას თამაში რუმინელთა მწვრთნელმა ბიზომაც გამოარჩია, თუმც ქართველზე მარტო ქათინაური არ უთქვამს: „ნეფთჩიდან" მეკარე, ადამია და დანჩევი მომეწონა, მაგრამ ჩემი გუნდისთვის არცერთს არ ვიყიდიდი".

44 წუთი ითამაშა ფრანგული „რენის" წინააღმდეგ (0:1) სიმფეროპოლის „ტავრიას" ქართველმა ვასილ გიგიაძემ. ჩვენებურის შეცვლის მიზეზი ტრავმაა — ვასომ შეჯახებისას თავი გაიტეხა და შეცვალეს.

ავსტრიულმა „შტურმმა" კი ვერაფერი მოუხერხა უნგრულ „ჰონვედს" (0:0). ილია კანდელაკმა სრულად ითამაშა, გიორგი შაშიაშვილი კი არ გამოჩენილა.

ვასილ გიგიაძე

მიხეილ ჟორჟოლიანი

„დინამოს" გიორგი მერებაშვილის დაყლდება

ათენამდე ფარერებზე

დინამოს დიღომში კამერუნელები ელიან

თბილისის „დინამო" გუშინ მიუნხენისა და კოპენჰაგენის გავლით ფარერებზე გაემგზავრა და დღეს იქაურ „რუნავიკთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს გამართავს.

შეგახსენებთ, თბილისურ შეხვედრაში „დინამომ" უსუსური მეტოქე საკმაოდ დამაჯერებლად, 3:0 დაამარცხა და სასწაულზე მეტი უნდა მოხდეს, ჩვენები მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ.

„დინამოც" გამარჯვებაში დარწმუნებული გაემგზავრა ფარერებზე და ეს იქიდანაც ჩანს, რომ მწვრთნელმა რაინერ ცობელმა სათამაშოდ სულ 17 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: დიდიე ოვონო, გიორგი ლორია;

მცველები: გურამ კაშია, შოთა კაშია, გიორგი ნერგაძე, ალექსანდრე იწკირველი, გულვერდ თომაშვილი, მილოშ კრშკო;

ნახევარმცველები: ლევან ხმალაძე, დავით დიღმელაშვილი, დავით ოდიკაძე, ოლეგ გველესიანი, ნიკა ჯიშკარიანი, ნიკა ფირცხალავა;

თავდამსხმელები: ყორუ აკირემი, მათე ვაწაძე, ზვიად ქანთარია.

ამ სიაში გიორგი მერებაშვილიც იყო, მაგრამ მას მუხლის მყესები აწუხებს და გართულებების ასარიდებლად მწვრთნელმა ის თბილისში დატოვა.

ფარერებზე, როგორც თბილისში, ვერ ითამაშებს „დინამოს". კიდევ ერთი ფორვარდი ილია სპასოევიჩი — ჩერნოგორიელი თავდამსხმელი ახალნაოპერაციებია და ფარერების ნაცვლად შინ, პოდგორიცეში გაემგზავრა, სადაც ექიმებს ერთხელაც გაესინჯება.

„რუნავიკი" — „დინამოს" ხვალინდელი მატჩი ჩვენი დროით, 22 საათზე დაიწყება. ამათ შორის მოგებულის მეტოქესაც შეგახსენებთ: ათენის „პანათინაიკოსი".

დინამოში" ერთი სიახლეცაა. გუნდს კამერუნელმა ფეხბურთელებმა ჩამოაკითხეს. 25 წლის ლუკ ლოემ და 20 წლის მოის როდრიგო ნგანგუემ „დინამოსთან" ერთად უკვე ივარჯიშეს და ახლა გუნდის ფარერებიდან დაბრუნებას ელიან.

ლოე მცველია, ნგანგუე — ნახევარმცველი. ცობელი მათ დააკვირდება და ან დაიტოვებს, ან არა.

ძოგა ინასარიძე

სიმურგმა საქართველო დინამო 2-ით დაასრულა

აზერბაიჯანული „სიმურგი" თბილისის „დინამო 2"-ს გაეჯიბრა და 3:1 მოუგო.

აზერბაიჯანელთაგან გოლები სერგეი არტიუკმა, ელშან მამედოვმა და ვლადიმირ მაზიარმა გაიტანეს. თბილისელთაგან ბექა მაღრაძე გამოირჩა.

ამ შეხვედრით კახა ჩხეტიანის, დავით ბოლქვაძის, მიხეილ მახვილაძის და გრიგოლ დოლიძის „სიმურგმა" საქართველოში შეკრება დაასრულა.

კახა შალამბერიძე

ძალიან მოულოდნელი და უსიამოვნო ამბავი: საქართველოს თასისა და სუპერთასის ორ-ორჯერ მომგები თბილისის „ამერი“ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას ჩამოშორდა და მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში ითამაშებს. ეს გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელებმა ამ უქმეებზე მიიღეს და დღეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას შესაბამის ოფიციალურ განცხადებასაც წარუდგენენ. ისე კი, ამერელებმა პროფლიგა საქმის კურსში გუშინვე ჩააყენეს...



გადრი ძმილაძის ფოტო

ცუდი ამბავი

ამერმა უმაღლესი ლიგა დატოვა

— შექმნილმა ვითარებამ გადაგვადგმევინა ამგვარი ნაბიჯი — გვითხრა „ამერის“ პრეზიდენტმა *ზურაბ ფოცხვერიამ* — ჩემპიონატის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, გუნდი კი ჯერაც დაუკომპლექტებელია. მართალია, „ამერში“ არიან პერსპექტიული ახალგაზრდები, მაგრამ ახალი სეზონისთვის მათი სათანადოდ მომზადება და მიძღიერება აღარ მოესწრება. ამჟამინდელი გუნდით უმაღლეს ლიგაში თამაში კი ჩვენი თავის, მეტოქის, ფეხბურთის ფედერაციის, პროფლიგის და ზოგადად ქომაგის უპატივცემულობა იქნებოდა. კვალიფიცირებული უცხოელი ფეხბურთელების მოწვევის საშუალება ახლა არ გვაქვს. ამიტომაც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. მომავალ სეზონში „ამერი“ პირველ ლიგაში ითამაშებს.

— ეს ყველაფერი „ამერში“ შექმნილი ბოლოდროინდელი პრობლემების გამოძახილია?

— ჩვენი გადაწყვეტილება საკადრო სიმწირემ განაპირობა. ფეხბურთელთა ის რესურსი აღარ გვაქვს, როგორიც აქამდე გვქონდა.

— წინა სეზონის შემდეგ „ამერიდან“ ბევრი ფეხბურთელი წავიდა, ბევრიც დაითხოვეთ. ვინც ახლა გუნდშია, ისინი ითამაშებენ პირველ ლიგაში?

— ჩვენ დარჩენას არავის ვაიძულებთ და ყველა ფეხბურთელს მივეცით ინდივიდუალური არჩევანის საშუალება. შეიძლება, ზოგმა ფეხბურთელმა ჩათვალოს, რომ პირველ ლიგაში თამაში მისი კარიერისთვის საზიანო იქნება და ამიტომაც, როგორც თვითონ ჩათვლიან სწორად, ისე გააკეთონ. ყველა შემთხვევაში, „ამერი“ ამ ფეხბურთელების მადლობელი იქნება.

— მომავალ სეზონში უმაღლესი ლიგის საგზურისთვის იბრძოლებთ?

— ცხადია, ვიდრე „ამერი“ არსებობს, ყოველ მატჩს მხოლოდ მოსაგებად ითამაშებს.

...ისედაც დაუძლურებული ქართული ფეხბურთისთვის მეტი ცუდი ამბავი რაღა უნდა იყოს?! დღეს კი თავის სათქმელს პროფლიგაც იტყვის, „ამერს“ უმაღლესში ალბათ სხვა გუნდით ჩანაცვლებენ...

კოგა ინასარიძე

ლოკომოტივმა ზღვა ჩიხურათი დახურა

გუშინ ურეკში კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა თბილისის „ლოკომოტივმა“ — თბილისელები საჩხერის „ჩიხურას“ დაუპირისპირდნენ და 4:2 სძლიეს.

„ლოკომოტივს“ ტრავმების გამო ვერ დაეხმარნენ ირაკლი ჩირიკაშვილი, ირაკლი სამხარაძე და რატი ალექსიძე.

როგორც „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ზაზა ზამთარაძემ გვითხრა, ამ ფეხბურთელებს მცირე ტრავმები აქვთ.

ამ უხვგოლიან შეხვედრაში „ჩიხურა“ მე-5 წუთზე მირიან მიქაძემ დააწინაურა. დედაქალაქელებმა 29-ე წუთზე შეძლეს გათანაბრება, გოლი ერეკლე კაჭახიძემ გაიტანა. ათ წუთში დავით ჩაგელიშვილმა „ლოკომოტივი“ წინ გაიყვანა და ტაიმიც ასე დასრულდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში მირიან მიქაძემ კიდევ ერთხელ იხეირა და ანგარიში საყაიმო გახადა, თუმცა მერე თბილისელებმა იძალეს. ამჯერად თბილისელთა მიქაძემ დააწინაურა თავისი გუნდი, მატჩის ბოლო გოლი კი დავით ჩაგელიშვილმა მიითვალა.

შემადგენლობები ასეთი იყო:

ლოკომოტივი: ბათიაშვილი, ფარულავა, გუშარაშვილი, სარალიძე, დ. ფოფხაძე, ზ. ჩხეტიანი, ბარბაქაძე, კაჭახიძე, კახელიშვილი, გ. ჭელიძე, დ. ჩაგელიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: მიქაძე, ქურდაძე, ლ. ჩაგელიშვილი, შალიკაშვილი, ქუხილავა, ა. კობიაშვილი, ბახტაძე.

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ზივზივაძე, ხვედელიძე, ტყებუჩავა, ზ. ნოზაძე (ენუქიძე 65), ი. ზაბახიძე, დოღონაძე (ჩიკვაიძე 55), პეტრიაშვილი (ივანიშვილი 75), როგავა, მ. მიქაძე

„ლოკომოტივი“ დღეს თბილისში დაბრუნდება, „ჩიხურა“ კი ურეკში რჩება და 22 ივლისს რუსთავის „ოლიმპს“, 24-ში კი ბოლნისის „სიონს“ გაეჯიბრება.

ნუკრი ლოლაძე

მესხეთი ივსება და ივსება

გაგრელთა საწვრთნელ ბაზაზე, მუხრანში, „გაგრა“ და ახალციხის „მესხეთი“ გაეჯიბრნენ ერთმანეთს ამხანაგურად. მატჩი მასპინძლების გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. ეს ერთადერთი და საკმაოდ ეფექტური გოლი მეორე ტაიმში ალექსანდრე აბაშიძემ გაიტანა — გაგრელმა მაკრატელა შეასრულა უნაკლოდ.

საერთოდ, სიცხის გამო, მატჩში მაღალი ტემპი არ ყოფილა, უფრო ხისტი ბრძოლა იყო, თუმცა ზოგ მომენტში გუნდები გამოანათებდნენ ხოლმე და სავსებით შესაძლებელი იყო, მეტი გოლი გასულიყო.

გაგრელთა შემადგენლობაში სიახლე არაფერია, მესხებს კი შევსება აქვთ — დაუბრუნდათ თემურ ღონღაძე, იჯარით აიყვანეს ნოდარ მაჭავარიანი, გუნდში მივიდნენ გიორგი მემარნიშვილი და ბორის გონჩაროვი... კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გასინჯვაზეა.

25 ივლისს „მესხეთი“ ბორჯომში „ზესტაფონს“ გაეჯიბრება.

გაგრა: გლუნჩაძე (ნაჭყებია), ქაჯაია, მგელაძე, ჩიხრაძე, ყიფიანი, ხელაძე (გაბედავა), ლალიანი, დათუნაშვილი (კორიფაძე), მეტრეველი, ჩხაიძე (ტეტუნაშვილი), აბაშიძე.

მესხეთი: სომხიშვილი (ძამუნაშვილი), რაქვიაშვილი, მაჭავარიანი, ლ. მერებაშვილი (კობესაშვილი), ლეკოშვილი (ქოჩორაშვილი), მ. თაყაძე (სამადაშვილი), კ. ხანიშვილი (თედიაშვილი), ლ. ვაშაკიძე, მემარნიშვილი (ი. დავითაშვილი), ინასარიძე (კობახიძე), ულენტი (გონჩაროვი).

მიხეილ ჟორჟოლიანი

უკვე პეკერმანიც

ერთი კვირაც და, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის აგრერიგ გაჭიანურებული საკითხიც საბოლოოდ მოგვარდება. 28 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაა და ეჭვგარეშეა, იქ ახალი მწვრთნელის ვინაობაც გამოცხადდება.

ჩვენი ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობის სურვილი ხმამაღლა ჯერჯერობით ორმა უცხოელმა გამოთქვა — ახალგაზრდულის თავკაცმა, ხორვატმა პეტარ სეგრტმა და გერმანელმა ფოლკერ ფინკემ, რომელიც ამას წინათ თბილისშიც გახლდათ და ფედერაციასთან მოლაპარაკებები დადებითი პასუხით დაამთავრა.

მოკლედ, ეს ორი კაცი თანახმაა, საქართველოს ნაკრები ახლავე ჩაიბაროს, თუმცა მათ გარდა რიგში კიდევ ორი მწვრთნელია, არგენტინელები — ხოსე პეკერმანი და ექტორ რაულ კუპერი.

კუპერთან მოლაპარაკებები ფიფას აგენტმა აკა ტონიამ დაიწყო და ამ უქმეებზე მწვრთნელს უკვე ფეხბურთის ფედერაციაც დაუკავშირდა.

აგენტი და ფედერაციის ხელმძღვანელები კუპერს რამდენჯერმე ესაუბრნენ, მწვრთნელი, მისთვის შეთავაზებული რამდენიმე წინადადებიდან დღესდღეობით ყველაზე ინტენსიურად სწორედ ჩვენების სიტყვას განიხილავს და, სავარაუდოდ, ხვალ შევიტყობთ, თუ რამდენად მიმზიდველი გამოდგება კუპერისთვის ქართული ვარიანტი.

ამასობაში კი ფედერაციამ ნაკრების გაძღოლა არგენტინის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ყოფილ მწვრთნელ ხოსე პეკერმანსაც შესთავაზა და მოლაპარაკებების ოფიციალურად დაწყებისთვის, კუპერისა არ იყოს, პასუხს ამ დღეებში ელის.

ასეთი ამბებია ფეხბურთის ფედერაციიდან ნაკრების შესაძლო მწვრთნელებთან დაკავშირებით. ფინკე, სეგრტი, პეკერმანი, კუპერი — ახალი მწვრთნელიც ამ ოთხიდან რომელიმე იქნება, სხვებთან საქმის დასაჭერად დროც აღარ დარჩა, 28 ივლისამდე დღეებს ვითვლით.

კოგა ინასარიძე

ჰერბერტ ცანკერის პირველი ბაიური

ჰერბერტ ცანკერი

გადრი ძმილაძის ფოტო

ახალი სეზონისთვის მზადებას გადიან როგორც უმაღლესი, ისე პირველი ლიგის გუნდები და ერთმანეთთან ამხანაგურ მატჩებსაც ატარებენ.

ურეკში ერთმანეთს ბოლნისის „სიონი“ და პირველლიგელი ზუგდიდის „ბაია“ გაეჯიბრნენ. ლიგებს შორის სხვაობის მიუხედავად, ზუგდიდელებმა არაფერი დაუთმეს მეტოქეს და მატჩი 0:0 დამთავრდა.

„ბაია“ შეკრებაზეა და უმაღლეს ლიგაში გადასვლას გეგმავს. საამისო შანსები ნამდვილად ექნებათ — თუ მათ შემადგენლობას გადახედავთ, შენიშნავთ, რომ გუნდი გასულ სეზონში ზუგდიდის „მგლების“ ფეხბურთელებით არის გაძლიერებული. აკი აღნიშნა კიდეც ჩვენთან საუბარში ბოლნისელთა პრესსამსახურის უფროსმა ჯემალ ჭიპაშვილმა, „ბაიასგან“ ასეთ კარგ თამაშს არ ველოდითო.

ფეხბურთელები ერთია და, „ბაია“ დღეს პირველად ათამაშა გერმანელმა მწვრთნელმა ჰერბერტ ცანკერმა, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებიდან გეხსომებათ.

ერთიც: მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური იყო, 1000-მდე მაყურებელი მიიზიდა.

გუნდებმა კი ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

სიონი: ბობღიაშვილი, დ. სვანიძე, ქემოკლიძე, სილაგაძე, კაკაშვილი (ა. ალავიძე), დიდავა, ზ. ავალიანი (ხუბუა), ქურასბედიანი (ლ. სანიკიძე), კოშკაძე, ი. შენგელია, შ. ჯიქია.

ბაია: ივარდავა, ექონია, პაჭკორია, ჟვანია, სვირავა, ვართაგავა (კ. შონია), სიხარულია (ნ. შონია), წურწუმია, კუტალია (რაფავა), ბოკუჩავა, ქირია.

მიხეილ ჟორჟოლიანი

იაშვილმა ვერ დააფასა და ვერ დაუფასეს

ალექსანდრე იაშვილმა 10-წუთიან მონაკვეთში სამი საგოლე შანსი გააცუდა, ორჯერ კი მისი პასი ჯოშუა კენედიმ და სებასტიან ფრაისმა ვერ დააფასეს.

„აკუნას“ „კარლსრუემ“ მაინც მოუგო ტესტ-მატჩი გერმანიის მესამელიგელ „აალენს“ — 1:0. გოლი კრისტიან ტიმმა გაიტანა.

იაშვილმა პირველი ტაიმი ითამაშა.

ილია ნანოგაშვილი

კახა კალაძე: რონალდინიომ მილანი ძალიან გამოაცოცხლა

„მილანის“ საწვრთნელ ბაზაზე სეზონისწინა პირველი პრესკონფერენცია ქართველმა მცველმა კახა კალაძემ გამართა. საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კლუბში რონალდინიოს გადასვლასა და გუნდში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა...

— როგორია გუნდის მოტივაცია ახალი სეზონის წინ, რომელშიც ის ჩემპიონთა ლიგაში არ ითამაშებს?

— უკვე ორი დღეა, ვვარჯიშობთ და, იმის მიუხედავად, რომ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ გამოვდივართ, მოტივაციის ნაკლებობას არ ვუჩივით. ჩვენი მიზანი მაქსიმუმის მიღწევაა, რაც უეფას თასისა და სკუდეტოს მოგებას გულისხმობს. უეფას თასის მოპოვება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან „მილანს“ ეს ჯილდო არასოდეს მოუგია.

— წინა წლებთან შედარებით კარლო ანჩელოტი რამე ახალ მეთოდებს ხომ არ გამოიყენებს?

— მართალია, ჯერ მხოლოდ ორი დღეა, რაც ვვარჯიშობთ და ამაზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ მეთოდები მართლაც განსხვავებულია. თუმცა ჩვენ ბევრი დრო გვაქვს მოსამზადებლად და ამხანაგური მატჩების გასამართად, რაც საშუალებას მოგვცემს, ჩემპიონატის დაწყებასაც სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ და უეფას თასსაც.

— როგორ შეაფასებდით გუნდის შემადგენლობას?

— ვფიქრობ, რომ მწვრთნელს შარშანდელთან შედარებით უფრო ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. ჩემი აზრით, „მილანი“ ყველა რგოლში თანაბრად ძლიერია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებები, ცხადია, მწვრთნელმა და მთლიანად კლუბმა უნდა მიიღონ. ერთი სიტყვით, გუნდი ძალიან ძლიერია და ყოველი ადგილისთვის მძაფრი კონკურენციაა, რაც მოთამაშეებს დამატებით მოტივაციას აძლევს.

— რას იტყვით რონალდინიოზე?

— ყველამ ვიცით, რომ ის უნიკალური მოთამაშეა, რომელმაც „ბარსელონაშიც“ და ბრაზილიის ნაკრებშიც აჩვენა, რისი გაკეთება შეუძლია. ის მსოფლიო დონის ვარსკვლავია.

— თქვენი აზრით, როგორ დაიწყებს გუნდი ახალ სეზონს?

— ვფიქრობ, ძლიერად დავიწყებთ, სექტემბრის შუა რიცხვებამდე, სანამ უეფას თასზე ჩავერთვებით, შეგვიძლია, მთლიანად ჩემპიონატზე ვიყოთ კონცენტრირებულნი. რაც შეეხება იმას, თუ რა ტაქტიკით ვითამაშებთ, ეს მწვრთნელებზეა დამოკიდებული. საკმაო დრო გვაქვს საიმისოდ, რათა ამ მიმართულებით ბევრი ვიმუშაოთ. ჩემი აზრით, „მილანს“ დაცვაში პრობლემები არ ექნება. საერთოდ კი, შარშანდელთან შედარებით, უფრო ძლიერები ვართ, რადგან რონალდინიოს მოსვლით მნიშვნელოვანი ბზარი ამოვავსეთ. წლეულს უფრო სრულყოფილი გუნდი ვართ.

— რონალდინიოს მოსვლამ ქომაგებშიც დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია...

— დიახ. გუნდში მისი მოსვლით ქომაგებიც და მოთამაშეებიც ძალიან ბედნიერები ვართ.

— თქვენი აზრით, ვინ არის მეკარეებს შორის ფავორიტი?

— ვფიქრობ, სამივე მათგანს შეუძლია, პირველი ნომერი იყოს. ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. კარგია, რომ ამ ადგილზეც კონკურენციაა, რაც მნიშვნელოვანია.

— სხვა გუნდებს დიდი ტრანსფერები არ განუხორციელებიათ...

— „ინტერმა“ მანსინი იყიდა — ახალგაზრდა, ძალიან კარგი მოთამაშე. მათ ლამპარდის შეძენაც სურთ, თუმცა მსოფლიო დონის ფეხბურთელით მხოლოდ „მილანი“ გაძლიერდა. არა მგონია, გაისად სეზონის ბოლოს ჩვენ შორის ისევ 20-ქულიანი სხვაობა იყოს.

— ბევრს საუბრობენ რონალდინიოს არასახარბიელო ფიზიკურ კონდიციაზე...

— არდადაგების ბოლოს წონაში ყველა იმატებს, მე 2 კილოთი დავმძიმდი. ეს წვრილმანებია, რაც პრობლემებს ვერ ქმნის.

ორი ლევანის ტესტი

მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა გელზენკირხენის „შალკემ“. ხუმარები ამხანაგურად „გლაზგო რეინჯერსს“ გაეჯიბრნენ და 1:0 მოუგეს.

გელზენკირხენელთა გამარჯვებაში 90-წუთიანი წვლილი მიუძღვის ლევან კობიაშვილს. ლევან ყენია კი მწვრთნელმა მოედანზე მხოლოდ ბოლო ხუთი წუთი შეუშვა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გიორგი განუგრავამ უნგრელებთან გაილაღა



ლონიერი მატჩი ჩაატარა „მლადა ბოლესლავში“ გიორგი განუგრავამ — ამხანაგურ შეხვედრაში ჩეხურმა კლუბმა უნგრულ „ზალაეგერსეგს“ 2:1 მოუგო, ჩვენიანმა შეუცვლელად ითამაშა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მინდორზე.

მართალია, გიორგის გოლი არ გაუტანია, მაგრამ ონლაინ-რეპორტაჟის მიხედვით, ძალიან აქტიური ყოფილა. ჩეხების ცნობით, ორჯერ იყო ასეთი ეპიზოდი, როცა „განუმ“ დრიბლინგით სამი მეტოქე ჩამოიტოვა და კარში დაარტყა — ერთხელ მეკარემ აუღო, ერთხელ კი ააცილა...

ილია ნანობაჯვილი

ნიტრამ მოგებით დაიწყო

სლოვაკეთის ჩემპიონატის პირველ ტურში ირაკლი ლილუაშვილის „ნიტრამ“ შინ 2:1 მოუგო „სტრედას“.

ლილუაშვილი მოედანზე მე-60 წუთზე გავიდა, თუმცა გოლი არ გაუტანია.

კახა შალამბერიძე

ისევ ამისულაშვილი და დანარჩენი ქართველობა

რუსეთის პრემიერლიგის მორიგი ტური გაიმართა და ისევ გოლით გამოირჩა ალექსანდრე ამისულაშვილი.

ნალჩიკის „სპარტაკის“ ცენტრალურმა მცველმა მიმდინარე სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა და გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

ამისულაშვილის გოლში დიდი წვლილი გოგიტა გოგუას მიუძღვის, რომლის დარტყმული ჯარიმაც ძელს მოხვდა, დამატებაზე კი ამისულაშვილმა ივარგა.

ორივემ 90-90 წუთი ითამაშა, მათზე 3 წუთით ნაკლები დაჰყო მოედანზე დავით სირაძემ.

30 წუთი ითამაშა მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ „ლუჩ-ენერგიას“ ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ, რომელიც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. მისმა „ლუჩმა“ კი ბოლო წუთზე გატანილით 1:0 მოუგო მეტოქეს.

„ლოკომოტივი“ 2:2 ეთამაშა „სპარტაკს“, არადა, ორი ბურთით იგებდა.

მალხაზ ასათიანსა და დავით მუჯირს არ უთამაშიათ.

ლაშა სალუქვაძის და დავით კვირკველიას „რუბინმა“ კი ქულა წაიღო გროზნოდან.

„ტერეკთან“ მატჩში (0:0) სალუქვაძე-კვირკველია სრულად გაისარჯნენ, მეკარე ნუკრი რევიშვილი კი არ გამოჩენილა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მთავარია, გავიტანოთ!

რუსული პრემიერლიგის მე-14 ტურში, ნალჩიკის „სპარტაკისა“ და სამარის „კრილია სოვეტოვის“ (1:1) მატჩის შემდეგ სპარტაკელთა გოლის ავტორმა ალექსანდრე ამისულაშვილმა GAZETA-ს ინტერვიუ მისცა...

— როგორ შეაფასებდით მატჩს?

— ძნელი სათქმელია. ბევრი სახიფათო მომენტი შევქმენით და რაც მთავარია, გოლიც გავიტანეთ.

— მოედანზე ტრავმირებული გახვედით. თამაში ასე ძალიან გინდოდათ?

— სერიოზული ტრავმა არ მქონია და თამაში შემეძლო.

— მეტოქისგან ყველაზე მეტი პრობლემა ვინ შეგიქმნათ?

— კონკრეტულად, ვერავის გამოვარჩევდი.

— ისე გამოდის, რომ „სპარტაკში“ თავდამსხმელებს გოლები ვერ გააქვთ და ამის გაკეთება მცველებმა დაიწყეს...

— მთავარი ის არ არის, გოლი ვის გააქვს, მთავარია, რომ გაგვაქვს. მცველები თავდამსხმელებს ვეხმარებით და შეტევას ვაძლიერებთ. ამას გუნდისთვის მხოლოდ სარგებლობა მოაქვს და შედეგიც სახეზეა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.





ქართული დერბის პირველი ფინალი
შავმა ზღვამ ლევან გორგაძე წააქცია

ივლისის ბაშოს სვპერტურნირზე გუშინ პირველი ქართული შერკინება შედგა — კოკაიდ წოდებული (შავი ზღვა) ლევან ცაგურია ტოჩინოშინად ცნობილ ლევან გორგაძის პირისპირ დადგა.

სუმოს ისტორიაში სუპერტურნირზე პირველი ქართული დაპირისპირება გამოცდილმა კოკაიმ მოიგო, რომელმაც ტოჩინოშინი ილეთით წააქცია და მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესა.

ივლისის ბაშოს მერვე დღისთვის ლევან ცაგურიას კვლავ უარყოფითი ბალანსი აქვს. კოკაის 3 მოგება და 5 წაგება დაუგროვდა, ხოლო ლევან გორგაძის საქმე პირიქითაა. ტოჩინოშინს დადებითი ბალანსი აქვს — 5 მოგება და 3 წაგება. აქვე ვთქვათ, რომ ლევან გორგაძე უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტია, მარტში მან ელიტაში სამი ბრძოლა კი გამართა, მაგრამ ეს უფრო საცდელი შერკინებები იყო, რეალურად კი, ტოჩინოშინი ახლაღა გახდა უძლიერესი ფალავნების სრულუფლებიანი წევრი.

სანამ ლევან ცაგურია და ლევან გორგაძე ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ, წინა დღით ორივემ იაპონელებთან გამართეს ბრძოლები და, სამწუხაროდ, წყვილად წააგეს.

დასავლეთის მე-10 მაეგაშირა კოკაი აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა ხომასესთან დამარცხდა, ხოლო დასავლეთის მე-14 მაეგაშირა ტოჩინოშინმა აღმოსავლეთის მე-10 მებრძოლ ტამანოსიმასთან წააგო.

დღეს ლევან ცაგურიას მეტოქე წოდებით მასზე დაბლა მდგომი, თუმცა დადებითი ბალანსის მქონე ტოსანოუმი იქნება, ხოლო ლევან გორგაძეს პირისპირ მე-13 მაეგაშირა ტოიჰიბიკი დადგება, ვისაც, გორგაძის დარად, უკვე 5 მოგება და 3 წაგება დაუგროვდა.

ივლისის ბაშოს მერვე დღის შემდეგ 42-კაცა გოლიათთა ამქარს უმაღლესი წოდების მქონე, იოკოძუნა ჰაკუხო უსტაბაშობს. ჰაკუხომ რვიდან რვავე ბრძოლა მოიგო. მონღოლ ფალავანს თითო წაგებით ჩამორჩებიან მეორე წოდების მქონე ოძეკები — კოტომიცეკი და სეკივაკე ამა.

ბაჩო სვანიძე

ᲘᲡᲐᲠᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘᲪ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ

16-19 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბათუმში იუნიორთა ევროპის თასის გათამაშების მე-2 ეტაპი გაიმართა. საქართველოს ნაკრების გარდა ტურნირზე 13 ქვეყნის მშვილდოსნები გამოვიდნენ. შეჯიბრებაში ავსტრიის, ბელგიის, ხორვატიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, პოლონეთის, რუსეთის, სლოვენიის, თურქეთის, უკრაინის, სომხეთის და საქართველოს გოგონები და ვაჟები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი და პლეი-ოფი ანგისას მოედანზე ჩატარდა, ხოლო ფინალურ ბრძოლებს ბათუმის ცენტრალურმა კორტმა უმასპინძლა.

ბათუმის ევროპის იუნიორთა თასი EMAU-ს (ევროპის ხმელთაშუაზღვის მშვილდოსნობის გაერთიანება) ეგიდით გაიმართა. ტურნირს ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი იტალიელი მარიო სკარზელა, იუნიორთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი სლოვენიელი ირენ როსა და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. სპორტსმენებმა ორ სახეობაში გამოსცადეს ძალები — ოლიმპიურ მშვილდში და კომპაუნდში. საერთო ჯამში ყველაზე უკეთ იტალიელი ჩუბინები გამოვიდნენ. ბათუმურ ტურნირზე დამყარდა ახალი მსოფლიოს რეკორდი, რომელიც უკრაინის ნაკრების ანგარიშზეა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს გეტყვით, რომ ჩვენებისგან მაღალ შედეგებს მაინცდამაინც არ მოელოდნენ. ქართული კრებული უფრო გამოცდილების მისაღებად მონაწილეობდა ჩემპიონატში. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ქეთი აზნაურიძე, სანდრო აზნაურიძე, ინოლა ბერაძე, დავით ჭელიძე, ანა გიორგობიანი, გიგა კაკაბაძე, გოგიტა კაკაბაძე, ზურა კურხაშვილი, ნანა მახარაძე, ნინო მეკოშკიშვილი, თეონა პარსენაძე, ზურა შურღაია და დიანა ცინცაძე იცავდნენ.

სამწუხაროდ მასპინძლები ადრეულად გამოეთიშნენ ასპარეზობას. ტურნირში კი პირველი გუნდური ადგილი იტალიის ნაკრებმა დაიკავა — 32 ქულით, მე-2 უკრაინელები გავიდნენ — 30 ქულით, მესამე ადგილს გერმანელებმა უწიეს — 26 ქულით. მეოთხე და მეხუთე პოზიციები, შესაბამისად თურქეთმა და საფრანგეთმა დაიკავეს.

ორი ეტაპის ჯამში პირველი ადგილი იატლიისა. მე-2 უკრაინის, ხოლო მე-3 გერმანიის. ჩემპიონ-პრიზიორები საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციამ თასებით, ხოლო ორგანიზაცია EMAU-მ შესაბამისი ხარისხის მედლებით დააჯილდოვა.

ტურნირის დახურვის ცერემონიის შემდეგ კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ირენ როსას და მარიო სკარზელას.

ირენ როსა: ყველაფერმა კარგად ჩაიარა, კმაყოფილები ვართ საორგანიზაციო დონით. სპორტსმენებმა მაღალი შედეგები აჩვენეს. ეს უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს.

მარიო სკარზელა: დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ტურნირის მოწყობაში მონაწილეობდა. ღონისძიებამ მშვენივრად ჩაიარა და იმედია მომავალში საქართველო უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებას უმასპინძლებს.

დაბოლოს ბათუმიდან გამომგზავრებამდე საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს და ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტს არტემ სანიშვილს ვესაუბრეთ.

— იდეა, რომ საქართველოში ასეთი რანგის ღონისძიება ჩაგვეტარებინა მომივიდა 2006 წელს ვარაზეში ყოფნის დროს, როცა ევროპის გრან-პრი მიმდინარებდა დიდებში. ეს აზრი EMAU-ს გენერალურ მდივანს მარინელა ესკოტს გავუზიარე, მან მირჩია, რომ ჯერ იუნიორებიდან დაგვეწყო და უკვე გამოცდილების მიღების შემდეგ დიდების შეჯიბრებისთვის მოგვეკიდა ხელი. შევქმენი შტაბი და შევუდექით საქმეს. რათქმა უნდა გვქონდა ფინანსური პრობლემები, რომლის, შეიძლება ითქვას სამოცდაათ პროცენტის გადაჭრაში საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის დეპარტამენტი დაგვეხმარა. დანარჩენში კი ჩვენგან მოძიებული სპონსორებით გავედით ფონს. აღსანიშნავია, რომ უდიდესი დახმარება გაგვიწია თურქეთის მშვილდოსნობის ფედერაციამ, მათ ყველა საჭირო სატურნირო ინვენტარი გვათხოვეს სრულიად უფასოდ. მთელი მოსამზადებელი პერიოდი მხარში გვედგა აჭარის მთავრობაც. შეჯიბრებამდე ჩავატარეთ მსჯავრებისთვის სემინარი. მთლიანობაში ამ ყველაფერმა კარგი შედეგი გამოიღო. დამყარდა მსოფლიოს რეკორდი. სარეკორდო მაჩვენებელი FITA-ს (მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაცია) გავუგზავნეთ დასამტკიცებლად. ეს კი იძლევა წინაპირობას. რომ საქართველოში ჩატარებული ევროპის თასის ეტაპი მშვილდოსნობას ისტორიაში აუცილებლად შევა.

ზურაბ მიგრიაული
ბათუმიდან

ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ-ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სლოვაკური კოშიცეში მიმდინარე იუნიორ მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ფალავნებმა კარგად დაწყებული საქმე ასევე გააგრძელეს და ქართულ ყულაბაში კიდევ ოთხი მედალი ჩააჩხრიალეს.

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე უჩა შავაძემ (60კგ) ფინალში აზერბაიჯანელ კამრან მამადოვს მოუგო და სლოვაკეთში ქართული ჰიმნი ააჟღერა. ბრინჯაოს მედალი კი გიორგი კახაბრიშვილმა (74) დაისაკუთრა.

„ანტიკოსებს“ არაფრით ჩამორჩნენ „თავისუფლები“, თორნიკე სვანიძემ საჩემპიონო გზა დამაჯერებლად განვლო და ოქროს მედალი ჩაიხუტა. სვანიძემ პირველ წრეში დაისვენა, მერე იტალიელ ანდრეა სორბელოს შავი დღე აყარა, 7:0 უგებდა და მეტოქემ ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვა. მეოთხედფინალში გერმანელ გაბრიელ სერეგელის 5:0 4:1 გადაურბინა და ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში ბელარუს დმიტრი ალშეუსკის გადაეყარა. ჩვენებურმა პირველი პერიოდი 1:7 წაგების მერე მობილიზება მოახერხა და 2:0 6:0 იმარჯვა. ოქროსთვის შეხვედრაში სვანიძემ თურქი იბრაჰიმ ბოლუკხაში წააქცია 4:0 2:0.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (50კგ) კი პატარა საოცრება მოახდინა. ერთი თვის წინ ლატვიაში კადეტთა შორის ევროპის ჩემპიონატი მოიგო და ახლა იგივე შედეგი იუნიორებშიც გაიმეორა. ჩვენებურმა ოქროსთვის ჭიდილში რუსი ილიას ბეკბულატოვი 0:1, 4:0, 5:1 დაამარცხა და ჩემპიონი გახდა.

ასევე ფინალში იჭიდავეს გიორგი მაყაშვილი მასპინძელ რობერტ ოლესთან. მანამდე კი ბრინჯაოს მედლები გიორგი მარსაგიშვილმა და გიორგი ჩიქოვანმა დაისაკუთრეს.

„თავისუფლებიდან“ მძიმეწონოსანი ლევან ბერიანიძეც გამოირჩა, ვინაც ბრინჯაოს ფინალში გერმანელი ნიკ მატუჰინი 1:0, 2:2 დაჩაგრა. სხვათაგან ზაუ ახრამიშვილს შეეძლო მედლის გამოდნობა, მაგრამ რეპეშაჟში ფინალში გადასასვლელი წააგო, აზერბაიჯანელ ჯაბრილ ჰასანოვს ვერაფერი მოუხერხა — 0:1, 1:4. გიორგი ედიშერაშვილი (55კგ) კი ოდენ მე-15 ადგილს გამორჩა.



ლეონტ მაისურაძე

იტალიელის თბილისური ამერიკული დოლარები

ვინ დააყოლებს კოკა კოლას

თბილისის თიხა. საპრიზო 15 000 დოლარი

მატეო მარაი

ვურაგ დოლოდიანაშვილის ფოტო

ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე გამართული ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი პირველ ნომრად განთესილმა იტალიელმა მატეო მარაიმ მოიგო, ვინც ფინალში ტურნირის მეორე ნომერი სერბი დევიდ სავიჩი 3:6 6:4 6:4 დაამარცხა.

იტალიელს ჩემპიონობამ 1950 დოლარი მოუტანა, სერბს კი — 1350. წყვილებში დამაჯერებლად იჩემპიონეს უკრაინელებმა — ივან ანიკანოვმა და ალექსანდრ იარმოლამ. მათ გადამწყვეტი შეხვედრა რუს — ალექსეი ფილინკოვს და სერბ დევიდ სავიჩს — 6:3 6:4 მოუგეს. უკრაინულმა წყვილმა 945 დოლარით შეივსო ჯიბე, ვერცხლის მედალოსნებს კი 495 დოლარი ერგოთ.

ქართველთაგან ერთეულთა ძირითად ბადეში ოთხი ჩოგბურთელი გამოდიოდა: ლადო ჩიხლაძე, ლაზარე კუხალაშვილი, ნოდარ ითონიშვილი და გიორგი ხრიკაძე. ჩვენებიდან ყველაზე უკეთ კუხალაშვილი გამოვიდა. მან მოეთხედფინალს უწია და იქ ლატვიელ დენის პავლოვსთან წააგო. ნოდარ ითონიშვილი მერვედფინალს ვერ გასცდა, ხოლო ჩიხლაძემ და ხრიკაძემ სულაც მეთექვსმეტედფინალში შეწყვიტეს ბრძოლა. გუშინვე ლეილა მესხის კორტებზე „კოკა კოლას" თასის გათამაშება დაიწყო ვაჟ ჩოგბურთელებს შორის.

ორდღიანი საკვალიფიკაციო შეხვედრების მერე დღეიდან ტურნირში ძირითადი ბადის ჩოგბურთელებიც ჩაებმებიან.

სათქმელია, რომ ამ ტურნირზეც 15 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდი განაწილდება.

ლეჭსო მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანას ჩოგანი აუცდა

საუკეთესო ქართველმა ქალმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა აშშ-ის ქალაქ ლოს ანჯელესში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე (BANK CLASSIC) ძირითად ბადეში მოხვედრა კვალიფიკაციიდან სცადა და, სამწუხაროდ, ხელი მოეცარა. 18 წლის მეჩოგნემ პირველივე წრეში ამერიკელ ალექსა მლატჩთან 1:6, 6:4, 3:6 წააგო. ტურნირის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარია. ჩვენებურს კი კვალიფიკაციაში მოხვედრისთვის 1 სარეიტინგო ქულა და 455 დოლარი ერგო.

საქართველო ფინალში ტრავმებმა არ გაუშვა

ვენეციაში გამართულ მსოფლიოს სტუდენტურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მე-6 ადგილი დაიკავა და წინა ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი გააუარესა. შარშან ქართველები ფინალში გავიდნენ და რუსეთის ძლიერ ნაკრებთან ოდენ ერთი ბურთით დამარცხდნენ. სათქმელია, რომ იტალიაში გამგზავრებამდე ნაკრებს სრულფასოვანი მომზადების საშუალება არ მიეცა, რამაც თავი უშუალოდ თამაშების დროს იჩინა. ბიჭები სათანადოდ შეთამაშებულები არ იყვნენ და ფიზიკური კონდიციებიც გასაუმჯობესებელი ჰქონდათ, მაშინ, როცა მომზადების თვალსაზრისით წინა ჩემპიონატის დროს ბევრად უკეთესი პირობები იყო. გუშინ ნაკრების თავკაც ირაკლი კეკელიძეს ვესაუბრეთ და განვლილი ტურნირი შევაფასებინეთ...

ვურაგ დოლოდიანაშვილის ფოტო

— თავიდანვე ვიტყვი, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით იტალიელებმა საგრძნობლად მოიკოჭლეს და ამან ჩვენც შეგვიშალა ხელი. სერბეთთან თამაშამდე ღამის ორი დღე გვქონდა და მოედანზე ვარჯიშის საშუალება მხოლოდ მატჩის წინა დღეს, ღამის 12 საათზე მოგვეცა. ბუნებრივია, ამ დროს ბიჭებს მაგრად ვერ დავტვირთავდი, დილით 11 საათზე უკვე თამაში გვქონდა. მთავარი პრობლემა კი მაინც შეუთამაშებლობა იყო. სერბეთს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავდა და რა გასაკვირია, რომ შეცდომებს არ გვაპატიებდა. მთლიანობაში ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ბევრად უკეთ შეგვეძლო.

— აზერბაიჯანი ჯგუფში აუტსაიდერად ითვლებოდა, თუმც მხოლოდ სამი ბურთით მოვუგეთ.

— მათთან პრობლემა ნამდვილად არ გვქონია, პირველივე წუთებიდან გავექეცით და 5 ბურთს ვუგებდით, ნელ-ნელა ბიჭებიც ფორმაში შედიოდნენ. ერთი ეგაა, აზერებთან რატი მსხვილიძემ თითი იტკინა, და გადამწყვეტ შეხვედრებში თითქმის ველარ დაგვეხმარა.

— ვენეციაში წასვლამდე გვითხარით, იაპონიასთან გველის გადამწყვეტი შეხვედრაო, რაც მერე გამართლდა კიდეც. ჯგუფიდან გასასვლელად მათთან უეჭველი მოგება გვინდოდა და ეს ბოლო წუთებზელა მოვახერხეთ. რატომ გაჭირდა ასე იაპონელების დამარცხება?

— იაპონიას სერიოზული ნაკრები ჰყავდა. ფიზიკურად საოცრად კარგად იყვნენ მომზადებულები, როგორც იტყვიან, დაფრინავდნენ. უნდა ითქვას, რომ არც სიმაღლეში ჩამოგვრჩებოდნენ დიდად. მართალია, ვლადიმერ რუსიას და რატი მსხვილიძის სიმაღლის ხელბურთელები არ ჰყავდათ, მაგრამ მაინც...

თანაბრად მიმდინარე თამაშში იაპონელები წინ გაგვექცნენ და მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრეა მოვახერხეთ დაწინაურება.

— თურქეთთან მეოთხედფინალში უკვე რატი მსხვილიძე ვეღარ დაგეხმარათ ტრამვის გამო. ალბათ ამანაც იქონია ანგარიშზე გავლენა...

— რატიმ იაპონიასთანაც საწყისი ოცი წუთი ითამაშა და. ისიც მხოლოდ დაცვაში. ბურთის დარტყმა არ შეეძლო. თურქეთთან ძალიან დაგვაკლდა. ისედაც მოკლე სათადარიგო სკამი გვყავდა, სულ 13 ხელბურთელი. ისე გამოვიდა, რომ ბიჭებს ამოსუნთქვის საშუალებას ვერ ვაძლევდი. ფიზიკურადაც ძალიან დაიღალნენ. თამაშის დამთავრებამდე წუთ-ნახევრით ადრე 29:29 იყო და მერე უბრალოდ, ვეღარ გაძლეს. მათთვის მართლა ძნელი იყო ზედიზედ ოთხი თამაშის ჩატარება, მაშინ, როდესაც სათანადოდ არ იყვნენ მომზადებული. ელემენტარულად ძალების აღდგენა არ შეგვეძლო, ჩვენს სათადარიგო სკამთან მარტო წყალი იდო თამაშის დროს, სხვებს კი არანაირი პრობლემა არ ჰქონდათ. ეს თითქოს უმნიშვნელო ნიუანსებია, მაგრამ მთლიანობაში სერიოზულ დაბრკოლებად იქცა. გეტყვით, რომ დაცვაში მაგრად ვთამაშობდით და ეს იქ აღიარეს კიდეც. სამაგიეროდ, შეტევაში გვიჭირდა, ძალიან გვაკლდა აკაკი ტალახაძე, ვინც ტრავმის გამო ვერ წავიყვანეთ. ტალახაძე, რომ გვყოლოდა, თამაშს დაალაგებდა და თურქეთს აუცილებლად მოვუგებდით. ფინალში გასვლაც შეგვეძლო.

— ვენეციაში ვერც სერგო დათუკაშვილი დაგეხმარათ. ახლა უკეთ გამოჩნდებოდა, თუ რამხელა ძალაა იგი ნაკრებისთვის...

— ამაზე ლაპარაკი არ ღირს. სერგო ნაკრების ლიდერია, მაგრამ ვიმეორებ, აკაკი ტალახაძეც საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ შარშანდელი შედეგი გაგვემეორებინა.

იტალიასთან და პოლონეთთან თამაშზე კი იმას ვიტყვი, რომ მასპინძლებთან მართლაც ქართული ჯიგრით ვითამაშეთ. თურქეთთან მარცხის ჯავრიც მათთან ამოვიყარეთ. მსაჯი კი ცდილობდა ჩვენ დაჩაგვრას, მაგრამ შანსი არ მივეცით. ერთი საინტერესო ფაქტი — იტალიასთან პოლონელები მსაჯობდნენ, რომელთაც ბოლო წუთზე რუსიას წითელი ბარათი უჩვენეს. ახალი წესებით კი, ბოლო წუთზე ნაჩვენები გაფრთხილება მომდევნო თამაშზე გადადის. ისედაც მსხვილიძე ვერ გვეხმარებოდა, მერე რუსიაც გამოგვაკლდა და პოლონელებთან უშანსოდ დავრჩით...

— ჩვენმა ხელბურთელებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვეს. კლუბებიდან შემოთავაზებები ხომ არ მიუღიათ?

— კი იყო რამდენიმე ასეთი დაინტერესება. ძირითადად ლეგიონერები აინტერესებდათ, თუმც, როგორც იცით, ისინი ამ ეტაპზე დაკავებულები არიან. სხვათა შორის, შოთა თევზაძე ტურნირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

— ისე გამოვიდა, რომ ბოლო პერიოდში ნაკრების ძირითად ბირთვთან მუშაობა თქვენ გიწევთ. შემოდგომაზე ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის თამაშები უწევს. რომ შემოგთავაზონ სამწვრთნელო შტაბში მუშაობა, დათანხმდებით?

— მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი იქნება მიდგომა ნაკრების მიმართ. ვენეციაში წასვლამდეც იყო საუბარი, რომ მომზადების მხრივ პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ასე არ გამოვიდა. აუცილებელია, რომ მოხდეს ლეგიონერებთან შეხვედრა და საერთო კონცეფციის ჩამოყალიბება, თუ როგორ უნდა მოემზადოს ნაკრები. ჩემი აზრით, საჭიროა, რომ იმ ბიჭებმა, რომლებიც თბილისში დარჩებიან, დროულად დაიწყონ მომზადება, რადგან შემოდგომაზე ძალიან სერიოზული თამაშები გველის და არ შეიძლება, ამ დროს შეუთამაშებლად და ცუდი ფიზიკური ფორმით შეხვდნენ.

ლეჭსო მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

GOLDEN LEAGUE IAAF

ოქროს ლიგა. მეოთხე ეტაპი. პარიზი

რობლესს სხვა ოქრო უნდა

„ოქროს ლიგა“ იმიტომ შექმნილა, რომ ცნობილი და მდიდარი მძლეოსნები კიდევ უფრო ცნობილები და მდიდრები გახდნენ, მაგრამ სამაგიეროდ ლიგა დიდ ენერგიასაც ითხოვს, ვისაც ოქროები უნდა, ის მუდამ ფორმის პიკზე უნდა იყოს და ექვსივე ეტაპი მოიგოს, რაც მართლა რჩეულთა ხვედრია.

წლეულს ლიგის ოქროებს ორი მოცილეღა ჰყავს და ორივე ქალია, მიუხედავად იმისა, რომ ჩინოვნიკებმა სუსტი სქესის წარმომადგენლებს საოქროვე სახეობები ოთხამდე შეუმცირეს, ხოლო კაცებს ექვსამდე გაუზარდეს. ქალთა ოთხი სახეობიდან ორში მოიძებნა ისეთი ხელ-ფეხმარჯვე გოგო, რომელმაც აქამდე ჩატარებული ოთხი ეტაპიდან ოთხივე მოიგო და ორი გამარჯვებაღა აშორებს ოქროს ზოდებამდე. ეს ორი რჩეული ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ბლანკა ვლასიჩი და კენიელი 800-მეტროსანი პამელა ჯელიმოა. პარიზში გამართულ მეოთხე ეტაპზე ორივემ მეოთხევე გამარჯვება ჩაიწერა და მათი გამოსვლა დეტალიზირებას იმსახურებს, მაგრამ ჯერ სხვაზე ვთქვათ.

კუბელი თარჯმორბენალი დეირონ რობლესი ვერ დაასობს კბილს ლიგის ოქროს. ყოველ შემთხვევაში, წლეულს მაინც, რაკი ჩავარდნები ჰქონდა და ცალკეულ გამარჯვებათა ჰონორარებით მოუწევს დაკმაყოფილება. მაგრამ ისე ჩანს, 21 წლის უნიჭიერეს ათლეტს საუკეთესო მიზნად არც მოუნიშნია ჯეკ-პოტის მოხსნა. წლეულს ხომ ოლიმპიადაა, რაღა წლეულს, აგერ, სამ კვირაში გახსნილია, ჰოდა, რობლესის მთავარი მიზანიც მისი მოგებაა. ხოლო რაც შეეხება კომერციულ ტურნირებს, აქ კუბელი მხოლოდ ემზადება და სპორტულ ფორმას ხვეწს.

ფორმაში კი ის ნამდვილად გახლავთ. ამის დასტურად პარიზში 110 მეტრ თარჯრბენში ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ ტერენს ტრამელთან შეჯიბრში მან კიდევ ერთი ფანტასტიკური შედეგი აჩვენა, როცა სტარტიდან ფინიშამდე 12,88 წამში გაითარჯრბენა. მას მხოლოდ 0,01 წამი დააკლდა თავისივე მსოფლიო რეკორდამდე, თან გაიმეორა ჩინელი ლიუ სიანის ორი წლის წინანდელი ექსრეკორდი. ამგვარად, მან ალბათ გვარიანად დააფეთა და საბოლოოდ ჩამოართვა ფავორიტის სტატუსი ჩინური მძლეოსნობის ლამის ერთადერთ იმედ ლიუ სიანს, მიუხედავად იმისა, რომ სიანი ათიათასობით ქომაგის თვალწინ გამოვა.

რობლესი აშკარად საუკეთესოა მიმდინარე სეზონში და ყველა უახლოეს კონკურენტს ერთი თვით აღემატება, მაგრამ მისი უპირატესობა მაინც ვერაა იმხელა, რამხელასაც ბლანკა ვლასიჩი ფლობს. ხორვატ კალიას მალე ალბათ ზედიზედ მოგებული ტურნირების სათვალავი აერევა. ჯერჯერობით კი მან იცის, რომ მიჯრით 33 გამარჯვება მოიპოვა და თანაც ბოლო 30 ტურნირზე ასცდა სულ ცოტა, 2 მეტრს. დეირონ რობლესს ლიუ სიანის სახით ფარული კონკურენტი მაინც ჰყავს, ბლანკას კი ლამის ორი ათეული წლის წინ პენსიაზე გასული სტეფკა კოსტადინოვას და მისი ჯერაც ხელუხლებელი რეკორდის გარდა კაცაშვილი, უკაცრავად, ქალიშვილი ვერ უწევს მეტოქეობას. აი ახლაც, ხორვატი სიმაღლეზე მხტომელის მეტოქეებს კარგი შანსი მიეცათ მის გამარჯვებათა ჯაჭვის გასაწყვეტად, მაგრამ ვლასიჩმა არადამაჯერებელი გამოსვლითაც აჯობა ყველას. ბლანკას უჩვეულოდ გაუჭირდა 2,01 მეტრის აღება და მაშინ, როდესაც ამ თამასას პირველივე, ჰა-ჰა, მეორე ნახტომში იღებს, ახლა მხოლოდ მესამე ცდაზე მიზანს. რომ ვერ აიღო, საერთოდ 2 მეტრს ქვემოთ დარჩებოდა, მაგრამ ვინ იყო მისი მჯობნი? არც არავინ. 2,01 მეტრის შემდეგ ხორვატმა ერთბაშად 2,05 დაუკვეთა და ვერ აიღო, თუმც რაკი დანარჩენები ორ მეტრს ქვემოთ ჩარჩენილიყვნენ, ვლასიჩმა უდრტვინველად განაგრძო ლიგის ოქროებისკენ სვლა.

კარგი იყო პამელა ჯელიმოც. ის ჯერ 20 წლისაც არ არის და ერთმანეთის მიყოლებით უკვე დიდებს ამარცხებს. პარიზში მან ასაკის კვალობაზე გამაოგნებელი შედეგი აჩვენა, როცა 800 მეტრი 1.54,97 დროში დაფარა, მაგრამ სეზონის რეკორდი ხელიდან გაუსხლტა, რადგან პარიზიდან ძალიან შორს, რუსეთში ელენა სობოლევამ ქვეყნის ჩემპიონატი 1.54,85 დროში მოიგო და ჯელიმოს მხოლოდ 20-წლამდელთა რეკორდიღა შერჩა. აქედანაც ჩანს, რომ ჯელიმო მსოფლიოში ჯერ საუკეთესო არაა და ოლიმპიური ოქროც არ აქვს გარანტირებული, მაგრამ პარიზში ისეთი ხალხი დაამარცხა, თან ისე იოლად და დამაჯერებლად, რომ არანაკლებ ხმაურიანი თავისი წინა გამარჯვებები უცებ დაჩრდილა. სირბილის შემდეგ კი კეკლუცობდა, ეს ოლიმპიური ტესტი იყო და დავრწმუნდი, რომ სირბილი შემიძლიაო.

პარიზული ეტაპის კიდევ ერთი ვარსკვლავი გახდა წლების წინ აკაშკაშებული, თუმც წლეულს ტახტშერყეული ჯერემი უორინერი. ამერიკელ 400-მეტროსან სუპერმორბენალს ამ სეზონში ორჯერ გაასწრო თანამემამულე ლაშონ მერაიტმა. ასე რომ, უორინერმა ფეხს აუჩქარა და ათეულობით ათასი ქომაგის თვალწინ დაამტკიცა თავისი სისწრაფე. 400 მეტრი მან 43,86 წამში დაფარა, მერიტს არც მეტი, არც არც ნაკლები, ნახევარი წამით გაასწრო და სეზონის ახალი რეკორდიც გამოაცხო.

ვანო კობიაშვილი



ჯერემი უორინერმა სეზონის რეკორდი დაიბრუნა

ჰეკეტი ამერიკელ მეტოქეებს აშინებს

ამასწინათ ვწერდით, ამერიკელმა მოცურავეებმა ქვეყნის შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს და პეკინის ოლიმპიადისთვის მოცურავეთა 41-კაციანი მძლავრი რაზმი შეკრეს-თქო. ამ 41-დან კაცთა შორის ამერიკელებს ორი გრძელ დისტანციაზე მოცურავე ყავთ — ლარსენ იენსენი და ერიკ ვენდტი და ეს ორი გამოვა 400 და 1500 მეტრ თავისუფალ გაცურვაში. ეს დისტანციები კი ლამის ათი წელია ავსტრალიელ გრანტ ჰეკეტს ეკუთვნის, რომელიც 28 წლისა კია და ძალიან ბევრი მოუგია, მაგრამ ტახტის დაკარგვა მაინც არ სურს და ზედიზედ მესამე ოლიმპიადაზე აპირებს 1500 მეტრის მოგება.

ამასწინათ ჰეკეტმა 15 წუთზე ნაკლები მოანდომა 1500 მეტრს და შედეგით ფრიად კმაყოფილიც დარჩა, ისევ მძლავრ ფორმაში ვარო. მაგრამ 15 წუთს ასევე ჩამოსცდნენ ამერიკელებიც და ოზმაც იანკების ღუეტის „დასაშინებლად“ კიდევ ერთი მძლავრი შედეგი დააქუხა.

კვირას მელბურნში მან 25-მეტრიან ანუ მოკლე აუზში 800 მეტრი 7 წუთსა და 23,42 წამში დაფარა, რითაც 1,86 წამი მოაკლო შორეულ 2001 წელს მის მიერვე დამყარებულ ძველ რეკორდს.

აქვე ვთქვათ: მელბურნიდან ათეულობით ათასი კილომეტრის დაშორებით, მაგდებურგში გერმანელმა ქალმა ბრიტა შტეფანმა 100 მეტრი თავისუფალი სტილით 53,05 წამში დაფარა და 0,15 წამით გააუმჯობესა თავისივე კუთვნილი ევროპეკორდი.

ვანო კობიაშვილი

ამ პრობლემებს მოგიხსნით

ტრიმოლი

სიმპტომები ბრონქულ ასთმის ფორმებისა

სხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, სხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.

რეგისტრაციის № R0003702

- სიცხის დამწევი
- ტკივილგამაყუჩებელი
- ანთების საწინააღმდეგო

ჯანტა ფარმა ლიმიტედი – ინდოეთი

ტრიმოლი

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
ალმაშენებლის გამზ. 148III

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

ᲒᲔᲝᲠ-ᲒᲘᲐᲡ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ საპორტო ქალაქ მარსელში დასრულდა მსოფლიო ტურის ბოლო ეტაპი, სადაც ჩვენმა კაცთა წყვილმა რენატომ და ჟორჟიმ, იმავე გეორ-გიამ, მეოთხედფინალს უწიეს, მაგრამ ნახევარფინალში ვეღარ გავიდნენ.

გეორ-გიამ მეოთხედფინალური მატჩი თვისტომ, ოღონდ ბრაზილიური დროშისვე ქვეშ მოთამაშე ფრანკოსთან და ბენჯამინთან 1:2 წააგეს. ჩვენმა ბრაზილიელებმა ნაღდ ბრაზილიელებს მეორე სეტში საერთო ანგარიში კი გაუთანაბრეს, მაგრამ გადამწყვეტ მესამე სეტში 14:16 დამარცხდნენ. რადგან პლაჟის ფრენბურთში, ძირითად ბაღეში, ერთი წაგება გეპატიება და იქამდე ჩვენები დაუმარცხებლები იყვნენ, გეორ-გიამ ბრძოლა განაგრძეს, თუმც კვლავ ბრაზილიელებს, ბრუნოს და მასიელას, გადაეყარნენ და ერთსაათიან ფრენბურთობაში, აქაც გადამწყვეტ მესამე სეტში 1:2 დათმეს.

საბოლოოდ გეორ-გიამ მე-9 ადგილი დაიკავა და 240 სარეიტინგო ქულასთან ერთად, 5 500 დოლარი მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ გეორ-გიას პეკინის ლიცენზია მარსელის ტურნირამდე ჰქონდა განაღდებული, ხოლო ჩვენმა ქალთა წყვილმა, საქამ და რთველომ, პეკინის ლიცენზია სწორედ მარსელში გაინაღდა.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

მარსელის მსოფლიო ტურს ესწრებოდა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ახვლედიანი, რომელიც თბილისში გუშინ დაბრუნდა. ლევან ახვლედიანს საინტერვიუდ დავუკავშირდით და, ცხადია, პირველად სალიცენზიო ტურნირზე ვკითხეთ...

გეორ-გია და ლევან ახვლედიანი

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲘᲯᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა მარსელში, როდესაც გაირკვა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მეორე წყვილიც გვეყოლებოდა — *გკითხრა ლევან ახვლედიანმა.*

— ისე, მართლაც წარმატებული პროექტი გამოდგა, საქართველოში პლაჟის ფრენბურთი შარშან გახდა პოპულარული და სეზონ-ნახევარში ოლიმპიადის ორი ლიცენზია მოიპოვეთ...

— გეორ და გიას ამბავი მარსელის ეტაპამდე გარკვეული იყო, ჩვენ ანდრეზას და ქრისტინას წარმატების მოლოდინში ვიყავით. ანდრეზამ და ქრისტინამ, იგივე საქა და რთველომ, ცოტა კი გვანერვიულეს, მაგრამ მარსელში მაინც შეძლეს ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება, რითაც მართლაც მაგრად გავიხარეთ. თანაც მარსელის ეტაპი ბოლო სალიცენზიო ტურნირი იყო. როდესაც გაირკვა, რომ საქამ და რთველომ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვეს იქვე ქვეშნარზე ატყდა ერთი ამბავი, თითქმის ყველა გვილოცავდა, მეტოქეებიც კი. თანაც იმ მომენტში თბილისიდან დამირეკეს და მახარეს, რომ გოგო შემეძინა. საქა და რთველომ კი ხმამაღლა დაიყვირეს, ამ გამარჯვებას ახალშობილ ქეთის ვუძღვნითო.

— სად მოემზადებიან საოლიმპიადოდ გეორ-გია და საქა-რთველო?

— ზეგ, გამთენიისას, შვეიცარიაში მივფრინავ, სადაც იქ გასამართი „დიდი სლემის“ კენჭისყრა მოეწყობა. პეკინამდე ორივე წყვილი შვეიცარიაში და ავსტრიაში გასამართ „დიდი სლემის“ ტურნირებზე ითამაშებს. ორივე ტურნირზე მსოფლიოს უძლიერესი წყვილები მოიყრიან თავს და, ვფიქრობ, უკეთეს მოსამზადებელ პირობებს ვერც შევარჩევდით. აგვისტოს პირველ რიცხვებში კი გეორ-გია და საქა-რთველო პეკინში გაემგზავრებიან, სადაც ოლიმპიადამდე ათდღიან შეკრებას გაივლიან. საამისოდ ყველანაირი პირობები უკვე შექმნილი აქვთ და სავარჯიშოდ დაბრკოლება არ ექნებათ.

— გეორ და გია ოლიმპიური სამოსის მოსაზომად თბილისში ჩამოვიდნენ. საქა და რთველო ვერ მოასწრებენ აქ ჩამოსვლას?

— არა, ახლა ეს მართლაც შეუძლებელია. ასე კი მათ უკვე გამოაგზავნეს თავიანთი ზომები და საოლიმპიადე სამოსს პეკინში გაუგზავნიან.

ისე კი, ოლიმპიადის შემდეგ ჩაფიქრებული მაქვს, რომ საქა და რთველო თბილისში ჩამოვიყვანო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, პეკინის ოლიმპიადაზე ორი წყვილი გავიდა და კაცისშვილს არ გამოუთქვამს სურვილი, მათ უსპონსოროს. არადა, რამდენიმე ქვეყანამ ჩვენსავით მოახდინა უცხოელების ნატურალიზება, მაგრამ აგერ, მესამე სეზონია, ოლიმპიური ლიცენზიები მაინც ვერ მოინავრეს. ჩვენ კი პირველივე ცდაზე, წელიწადნახევარში, ორივე წყვილი გავიყვანეთ ოლიმპიადაზე. იმედია, ოლიმპიადის შემდეგ გამოჩნდება მსურველი ვინც დააფინანსებს ჩვენი წყვილების თბილისში ჩამოყვანას. ჩვენის მხრივ კი ყველანაირად გამართლებულ და კარგ სანახაობას გპირდებით.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ





ᲡᲐᲛᲘ ᲔᲠᲘ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘ

18 ივლისი. პერთი

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 16:9 ს. ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ: ეშლი-კუპერი, ჰაინესი, მოტლოკი (კაპ), ბერნსი, ტუკირი; ჟიტუ, ბურგესი; ჰალუ, სმიტი, ელსომი, შარპი, ჰორვილი, ბაქსტერი, მური, რობინსონი
სათადარიგოები: ჰოლტა-ნაუ, დანინგი, მაკმენიმანი, ვუ, კორდინგლი, კროსი, მიტჩელი
2ლ: ტუკირი, მორტლოკი; 1ს: ჟიტუ; 1ა: ბერნსი

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ: იანთხესი, პიტერსენი, შტეინი, დევილერსი, ჰაბანა; ჯეიმსი, იანუარი; სპისი, ი. სმიტი, ბურხერი, მეტფილდი (კაპ), ბოთა, ფან დერ ლინდე, ბრიცი, სტინკამპი
სათადარიგოები: სტრაუსი, მტავარირა, მუხატი, ბეკერი, კანკოვსკი, პინაარი, გრანტი
3ს: შტეინი (2), ჯეიმსი

ᲙᲔᲜᲒᲣᲠᲣᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ

ᲡᲐᲛᲘ ᲔᲠᲘᲡ სამწრიანმა კალენდარმა მსოფლიოს ჩემპიონ სამხრეთ აფრიკას მთელი აღმოსავლეთი შემოატარებინა და სამ კვირაში მოათავებინა გასვლები. დასკვნა კი ასეთია: „ქურციკებს“ ხელიდან გაუსხლტათ ჩემპიონობა, ოღონდ უფრო ზუსტი ნათქვამი იქნება — ავსტრალიელებმა გააგდებინეს.

ახალ ზელანდიაში ორმა უმძიმესმა ბრძოლამ დაღი დაასვა აფრიკელთა თამაშს. მათ ფაქტობრივად შეუძლებელი შეძლეს, როცა ერთი კვირის წინ დანიდინში გოროზი „ოლ ბლექსი“ დასცეს, რითაც ათწლიანი ნავსიც გატეხეს და საჩემპიონოდაც მყარი პლაცდარმი შეიქმნეს. მაგრამ ახალი ზელანდიიდან ავსტრალიურ პერთში ფავორიტის სტატუსით ჩასულ, მაგრამ მაინც ძალაგამოცლილ და ხალხდანაკლულ „ქურციკებს“ დასვენებულმა „ვოლაბებმა“ საჩემპიონო ამბიციები პირთან მიტანილი ლუკმასავით გამოაცალეს.

ავსტრალია სამ ერზე პირველად თამაშობდა და ენერგია და შემართება ნამდვილად არ აკლდა, მით უფრო, რომ სამი ტესტის (საფეხბურთო ენით, აშხანაგური მატჩი) შემდეგ პირველ სატურნირო მატჩს მართავდა ახალით ავკაცის, ახალზელანდიელი რობი დინზის ხელქვეით. აფრიკელებს აკლდათ ზელანდიელებთან ნაომარი სუპერვეტერანები — კაპიტანი ჯონ სმიტი და მცველი პერსი მონტგომერი. კი მოახერხეს ტრადიციული, მძლავრი დაცვის დაყენება, მაგრამ ორი ლელო მაინც მიიღეს. ავსტრალიამ ბურთაობაში ხომ აჯობა მეტოქეს და ეს არავისაც არ გაჰკვირვებია, მაგრამ ასევე აჯობა ძალისმიერ თამაშშიც და ბოჭვებში, ეს კი უკვე გასაკვირი და გადამწყვეტიც იყო ძველი წყვილის პირველ წლევანდელ რკენაში.

ავსტრალიელმა მბოჭავებმა სისხლი გაუშრეს აფრიკელ მოიერიშეებს, არაერთხელ დაგდებინეს ბურთი და სწრაფი შეტევებით იქით იხეირეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩა ოზთა მღლეტელი (7) ჯორჯ სმიტი, ვინც ჯერ მხოლოდ 28 წლისაა, თუმც ნაკრებში უკვე 87 კეპი მოაგროვა და აგერ, გადაასწრო ავსტრალიელ მორკინალებში რეკორდსმენს, ლეგენდარულ ჯონ ილზს.

აფრიკელებს მაინც ჰქონდათ ამ თამაშის მოგების რეალური შანსი — მეექვსე წუთზე შტეინის საგარიმოთი 3:0 დაწინაურდნენ. მაგრამ ოზებმა ლოთე ტუკირის ლელოთი უპასუხეს და პირველი ტაიმი 5:3 მორჩა.

მეორეში ავსტრალიამ მალევე მოიპოვა გადამწყვეტი უპირატესობა. სტირლინგ მორტლოკმა ჰაერში აცალა ბურთი კონრად ანთხესს, მაგრამ საზღაურიც გადაიხადა — კაციჭამია აფრიკელ სხალკ ბურხერის შეჯახების ატანა მიუხდა. ავსტრალიელებმა მაინც შეინარჩუნეს ბურთი და შეტევა ძალისმიერი ლელოთი დაგვირგვინა თავად მორტლოკმა. მართალია, ოზთა ვეტერან კაპიტანს ამის მერე გარედან მოუხდა თამაშის ყურება (სხვათა შორის, შესაცვლელი გახდა მისი დამლეწავი ბურხერიც), მაგრამ ავსტრალიის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. თანაც მეტ ჟიტუმ 10 ქულით დაწინაურა მასპინძლები, ხოლო როცა „ქურციკებმა“ შტეინისა და ჯეიმსის საგარიმოებით სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეს, ავსტრალიელმა ბერიკ ბერნსმა აფრიკელები ლამაზი არეკნით დააბრუნა საკუთარ ნახევარზე.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲯᲒᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ახალი ზელანდია	2	1	0	1	47:38	1	5
სამხრეთ აფრიკა	3	1	0	2	47:63	1	5
ავსტრალია	1	1	0	0	16:9	0	4

ᲯᲔᲯᲘᲠᲘᲜᲘ QUARTZITE

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲐᲘᲐ 6:23 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ

აია: 2ს: სინაურიძე
ლოკომოტივი: 2ლ: ზ. მაისურაძე, ჩიტიძე; 2გ: კვინიხიძე; 3ს: კვინიხიძე

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ 27:10 ᲧᲝᲩᲔᲑᲘ

აკადემია: 3ლ: ქობილაშვილი, ბატოიანი, წასიძე; 3გ: მეკოკიშვილი; 2ს: მეკოკიშვილი
ყოჩები: 1ლ: ტუჩაშვილი; 1გ: ნიჟარაძე; 1ა: მახარაშვილი
არმაზი 19:22 უნივერსიტეტი

ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲚᲔᲚᲝ 21:20 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ

ლელო: 2ლ: ცერცვაძე, ხმალაძე; 1გ: ჯოგლიძე; 3ს: ჯოგლიძე
დინამო: 2ლ: ცხადაძე, რამიშვილი; 2გ: ავლოხაშვილი; 2ს: ავლოხაშვილი

ამერიკას სერენას მუხლი ეტკინა

კაცები
უმაგი. ხორვატია. თიხნარი
საპრიზო 326 000 დოლარი

მეოთხედფინალი

ფერნანდო ვერდასკო (1, ესპანეთი) — მიხაილ ზვერევი (გერმანია) 7:5 7:5; ფაბიო ფონინი (7, იტალია) — კარლოს მოია (3, ესპანეთი) 6:4 6:3; იგორ ანდრეევი (4, რუსეთი) — გილერმო კანასი (6, არგენტინა) 6:2 7:6; მაქსიმო გონსალესი (არგენტინა) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) 2:6 6:3 7:6

ნახევარფინალი

ვერდასკო — ფონინი 6:1 6:3; ანდრეევი — გონსალესი 6:2 7:6

იგორ ანდრეევმა ზედიზედ მეორე ფინალს უწია — ერთი კვირის წინ რუსი შეეცარული გშტაადის ტიტულთანაც იყო ახლოს, მაგრამ იქ ვიქტორ ჰანესკუსთან წააგო. თუმც მაშინდელისგან განსხვავებით, რუსი ამ ფინალს გაცილებით დასვენებული ხვდება, რაც მის შანსებს ერთი-ორად ზრდის.

მეორეს მხრივ კი ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ანდრეევს ვინმე რამეს იოლად დაუთმობს, რადგანაც ტიტულზეა სერიოზულად არის დაგეშილი მეორე ფინალისტი ფერნანდო ვერდასკოც. ბალახის სეზონის მშვენივრად ჩატარების შემდეგ (ნოტინჰემის ფინალი და უიმბლდონის მეოთხე წრე) ცაცია ესპანელი თიხნარზეც არანაკლებ კარგად გადაერთო და წინა კვირას შვედურ ბასტადში ნახევარფინალში იყო, აგერ ახლა კი კარიერაში მეორე ტიტულის მოგების შანსი მიეცა. ნახევარფინალში კი ერთი წრით ადრე ვეტერანი თანამემამულე კარლოს მოიას დამარცხებისთვის ვერდასკომ შური იძია ფაბიო ფონინიზე.

კაცები
კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 571 000 დოლარი

მეოთხედფინალი

ხუან მარტინ დელ პოტრო (7, არგენტინა) — ნიკოლა დევილდერი (საფრანგეთი) 6:2 6:3; ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) — ბრაიან დაბული (არგენტინა) 6:3 6:4; პოტიტო სტარაჩე (4, იტალია) — ედუარდო შვანკი (5, არგენტინა) 6:1 6:2; იურგენ მელცერი (6, ავსტრია) — რაინერ შუტლერი (2, გერმანია) 2:6 7:5 7:5

ნახევარფინალი

დელ პოტრო — ჰანესკუ 6:3 7:6; მელცერი — სტარაჩე 6:4 6:7 6:3

ფინალი

დელ პოტრო — მელცერი 6:2 6:1

იურგენ მელცერმა აღფრთოვანებაში მოიყვანა ადგილობრივი გულშემატკივრები, როცა მეოთხე ნომრად განთესილი პოტიტო სტარაჩე დააჩოქა და ფინალს უწია — ის ხომ პირველი ავსტრიელია 1995 წლის შემდეგ, ვინც კიცბიუელის სატიტულო მატჩში ითამაშებს. 13 წლის წინ კი იგივე დიდმა ტომას მუსტერმა გააკეთა.

მელცერს ფინალში სერიოზული ომი მოელის ხუან მარტინ დელ პოტროსთან. ისე ამ არგენტინელზეა ნათქვამია მადა ჭამაში მოდისო — აქამდე არაფერი ღირებული არ ექნა, მაგრამ წინა კვირას შტუტგარტში თავისი პიველი ტიტული მოიგო და ახლა ზედიზედ მეორე ჯილდოს დაუფლებას ესწრაფვის. ნახევარფინალში კი არგენტინელმა წინა კვირის კიდევ ერთი ტრიუმფატორს, გშტაადში გაჩემპიონებულ ვიქტორ ჰანესკუს მოუღო ბოლო.

კაცები
ამერსფორტი. ჰოლანდია. თიხნარი
საპრიზო 326 000 დოლარი

მეოთხედფინალი

მარკ ჟიკელი (1, საფრანგეთი) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:4 6:1; სტივ დარსისი (3, ბელგია) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 7:5 6:3; ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) — მარსელ გრანოლერს-პუიოლი (4, ესპანეთი) 7:5 6:2; ალბერტ მონტანესი (5, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (2, არგენტინა) 6:0 6:2

ნახევარფინალი

დარსისი — ჟიკელი 7:6 3:6 7:5; მონტანესი — ერნანდესი 6:1 6:3

ფინალი

მონტანესი — დარსისი 1:6 7:5 6:3

ტიტულის დაცვამდე ერთი ნაბიჯის გადადგმა აკლია სტივ დარსისს. ბელგიელი წვიმასაც არ შეეპუა და ტურნირის პირველი ნომერი მარკ ჟიკელი მაინც მიჩოგნა.

იოლი გასეირნება ბელგიელს არც ფინალში ელის, რადგანაც აქ თიხნარის ერთ-ერთ სპეციალისტად მჩნეულ ალბერტ მონტანესს შეხვდება. ეს ესპანელი ძალიან იოლად გაუმკლავდა 30 წლის თანამემამულე ოსკარ ერნანდესს და ახლა ეცდება, პირველი ტურნირი მოიგოს შარშან კასაბლანკაში გაჩემპიონების შემდეგ.

კაცები
ინდიანაპოლისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 525 000 დოლარი

მეოთხედფინალი

ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:2 6:0; დმიტრი ტურსუნოვი (3, რუსეთი) — პოლ კაპდევილი ჩილე) 3:6 6:3 6:1; სემ ძუერეი (4, აშშ) — ბობი რეინოლდსი (აშშ) 6:1 3:6 6:3; ჟილ სიმონი (2, საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (5, გერმანია) 4:6 6:4 6:2

ნახევარფინალი

ტურსუნოვი — ბლეიკი 4:6 6:3 6:4; სიმონი — ქუერეი 6:3 4:6 6:4

მოქმედი ჩემპიონის ზეობით მიდის ყველაფერი ინდიანაპოლისშიც, სადაც დმიტრი ტურსუნოვი ვერც ტურნირის უმთავრესმა ფავორიტმა ჯეიმს ბლეიკმა შეაჩერა. ამერიკელმა უკეთესადაც დაიწყო და სეტიც აართვა რუსს, მაგრამ ამის მეტს ველარ გახდა, რადგანაც ტურსუნოვი ჩაირთო და უკანა ხაზიდან პირწმინდად დაჩაგრა ბობოლა იანკი.

ასე რომ რუსს ახლა ზედიზედ მეორე ინდიანაპოლისური ტიტულის მოგების შანსი აქვს, რაც აქამდე მხოლოდ ორ ჩოგბურთელს — პიტ სამპრასსა (1991-92) და ენდი როდიკს (2003-04) გამოსვლიათ.

ქალები
სტენფორდი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 დოლარი

მეოთხედფინალი

სერენა უილიამსი (1, აშშ) — პატი შნიდერი (5, შვეიცარია) 6:3 6:1; ალექსანდრა ვოზნიაკი (კანადა) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2 5:7 6:4; ია სუგიამა (იაპონია) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:7 7:6 6:3; მარიონ ბარტოლი (5, საფრანგეთი) — ანა ჩაკვეტაძე (2, რუსეთი) 6:3 6:4

ნახევარფინალი

ვოზნიაკი — ს. უილიამსი 6:2 3:1 (უარი); ბარტოლი — სუგიამა 6:3 6:3

უჰ, როგორ დასცეცხლათ ამერიკული ჩოგბურთის მესვეურებს შაბათ საღამოს, როცა სერენა უილიამსმა მუხლის ტრავმა გაიმიზეზა და ალექსანდრა ვოზნიაკთან ნახევარფინალი ვერ ჩაამთავრა. უმცროს შავდას ხომ სწორედ ეს ტრავმა უწამლავს ცხოვრებას ბოლო წლებში და ახლაც თუ სერიოზულად დაიზიანა, დიდი შანსია, მან ვერც პეკინის ოლიმპიადაზე შეძლოს თამაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტრავმები აწუხებს კიდევ ორ ამერიკელ ბობოლას — უფროს უილიამსსა და ლინდსი დევენპორტს, გასაგები ხდება თუ რატომ აღიქვეს იანკებმა სერენას ამბავი ასე მწავვედ.

არადა, უმცროსი შავდა თვითონ არის ყველაფერში დამნაშავე. ნამტჩევს მან აღიარა, რომ მუხლი ვარჯიშზე ატკივდა და თან ისე ძლიერად, რომ კორტის მიტოვება მოუწია. ამის მიუხედავად, სერენა ნახევარფინალის სათამაშოდ მაინც გავიდა იმ იმედით, რომ საქმეს მალე მოათავებდა. თუმც ალექსანდრა ვოზნიაკმა ნამდვილი ომი გაუმართა ამერიკელს. მანაც ვერ გაუძლო დატვირთვას და ტრავმა სერიოზულად გაიმიზეზა.

ვოზნიაკმა კი ფინალში გააღწია, სადაც მარიონ ბარტოლის დაეტაკება. ამ ფრანგმა კი ჯერ ტურნირის მოქმედი ჩემპიონი ანა ჩაკვეტაძე დაიფრინა, რომელსაც მალე აი სუგიამაც მიაყოლა.

ქალები
ბად გაშტაინი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 175 000 დოლარი

მეოთხედფინალი

აგნეს სუგიეი (1, უნგრეთი) — ივეტა ბენეშოვა (7, ჩეხეთი) 6:2 6:2; პაულინ პარმენტიე (4, საფრანგეთი) — ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 7:6 6:3; მარია კორიცევა (უკრაინა) — ტერეზა ჰლადკოვა (ჩეხეთი) 6:3 6:1; ლუსი ჰრადეჩკა (ჩეხეთი) — პატრისია მაირი (ავსტრია) 6:3 6:1

ნახევარფინალი

პარმენტიე — სეიეი 6:4 6:2; ჰრადეჩკა — კორიცევა 6:3 6:2

ნახევარფინალი

პარმენტიე — ჰრადეჩკა 6:4 6:4

მოულოდნელი ფინალის მოწმენი გავხდით ავსტრიულ ბად გაშტაინში, სადაც ერთმანეთს კარიერაში მხოლოდ ერთი ტურნირის მომგები (შარშან ტაშკენტში) პაულინ პარმენტიე და სრულიად გამოუცდელი, WTA-ს დონეზე აქამდე სულ რაღაც სამიოდ მატჩის მომგები ლუსი ჰრადეჩკა დაუპირისპირდნენ.

კახა ლომაჯვილი

95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

ოსკარ პერეირო სიო
მძიმედ დაშავდა

ორი შლეკიდან ერთი ყვითელია

გუშინ 95-ე „ტურ დე ფრანსის" ქარავანი ალპების გზას შეუყვა, თანაც იტალიაში გადავიდა და პირველი კატეგორიის მთის, ზღვის დონიდან 1140 მეტრზე აღმართული პრატო ნევოსოს აღმართებში ლიდერი შეიცვალა.

დიახ, ყვითელი მაისურა, უკვე დანიური CSC-ის ლუქსემბურგელ მრბოლ ფრენკ შლეკს აცვია, ხოლო ძველი ლიდერი, ავსტრალიელი კედელ ევანსი მესამე ადგილზე დაქვეითდა, თუმც მათ შორის სხვაობა ოდენ 8 წამია.

მაგრამ, სანამ პრატო ნევოსო იქნებოდა, მანამდე უმაღლესი სირთულის, 2744-მეტრიანი აჟნელის მთა იყო, ხოლო უფრო ადრე, უფრო სწორად კი შაბათს, მე-14 ეტაპი ჩატარდა ნიმიდან დინ ლე ბლანამდე და 183-კილომეტრიანი გზის ბოლოს ყველაზე მარდი ჯგუფურ რბოლაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ესპანელი ოსკარ ფრეირე აღმოჩნდა, რომელმაც ჯგუფური ფინიშისას აჯობა სპრინტის სხვა ოსტატებს.

წლევანდელი „ტურის" საუკეთესო სპრინტერმა, ოთხი ეტაპის მომგებმა ბრიტანელმა მარკ კავენდიშმა კი მე-14 ეტაპის შემდეგ შინისკენ გასწია, აქაოდა, ამ „ტურზე" ჩემი მოსაგები უკვე მოვიგე, ახლა ოლიმპიურ ოქროზე ვფიქრობ და პეკინის თამაშებისთვის უკეთ მოსამზადებლად ასე ავჯობებსო.

კავენდიში ნებით წავიდა, შარშანწინ ფლოიდ ლენდისის დისკვალიფიკაციის შემდეგ ჩემპიონად გამოცხადებული ესპანელი ოსკარ პერეირო სიო კი აჟნელის მთიდან დაშვებისას დაეცა, გვარიანად დაიმტვრა და „ტურის" დარჩენილ ნაწილს, ახლა საავადმყოფოდან მიადევნებს თვალს.

ახლა კი გუშინდელ ეტაპს დავუბრუნდეთ, რომელიც ავსტრალიელმა საიმონ გერენსმა მოიგო. გერენსი, ესპანელი ეგოი მარტინესი, ამერიკელი დენი პეიტი და კიდევ ერთი ესპანელი ხოსე ლუის არიეტა მალევე გაექცნენ პელოტონს და რაღაც მომენტში მათი უპირატესობა 17 წუთსაც კი აღემატებოდა. შემდეგ ამ უპირატესობამ დნობა დაიწყო და საბოლოო ჯამში გერენსმა ყვითელი მაისურასთვის მებრძოლებს ოთხ წუთზე მეტი მოუგო, მაგრამ მთავარი ეს კი არა, არამედ ის იყო, თუ რა ხდებოდა იმ ჯგუფში, რომელშიც ფავორიტები შედიოდნენ.

CSC-იმ კვლავ ძველ, ჰირინეებში ნაცად ტაქტიკას მიმართა და აქედან ის გამოვიდა, რომ ყვითელ მაისურაზე ოცნებას, მინიმუმ მომავალ წლამდე გამოეთხოვნენ ძველი ლიდერი კიმ კირხენი და იტალიელთა იმედი დამიანო კუნეგო.

ბოლო კილომეტრზე ათკაცანი ჯგუფი დარჩა, რომელშიც CSC-ის სამი მრბოლი იყო — კარლოს სასტრე და ბბები ფრენკ და ენდი შლეკები. რუსმა დენის მენშოვმა ერთ მომენტში შეუტია, მაგრამ სველ გზაზე დაეცა და მრთელი, მალევე წამოდგა და არ ჩამორჩა, ოერში ფუჭი გამოუვიდა.

სულ ბოლოსკენ იგივე მენშოვი, სასტრე და გერმანელი ბერნარდ კოლი გაიჭრნენ წინ და მათ მალევე ალეხანდრო ვალვერდეც შეუერთდა. ევანსს აშკარად უჭირდა და ის, არათუ ამ ოთხეულს ვერ მიუახლოვდა. ნელ-ნელა დანარჩენ ხუთ მრბოლსაც ჩამორჩა.

წინ კოლმა და სასტრემ ჯერ მენშოვი „მოტეხეს", შემდეგ ვალვერდეც, უკან კი ფრენკ შლეკმა ევანსი ჩამოიტოვა და ლიდერობაც წართვა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ლაპარაკი მხოლოდ წამებზეა და გენერალური კლასიფიკაციის პირველსა და მეექვსე ნომრებს შორის სხვაობა მხოლოდ 49 წამია.

ვალვერდე მეცხრეა, მაგრამ ჯერაც ბევრს, 4 წუთსა და 11 წამს აგებს ლიდერთან. ესპანელს პირინეებში „ჩაძინება" ძვირად დაუჯდა და ძნელად, რომ მან მდგომარეობის გამოსწორება მოახერხოს.

მე-14 ეტაპი. ნიმი — დინ ლე ბლანი. 185 კმ

1. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი")	4სთ 13წთ 08წმ
2. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, „კოფიდისი")	
3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი")	
4. ჯულიან დინი (ახალი ზელანდია, „ჯერმენ შიპოტლი")	
5. სტივენ დე იონგი (ჰოლანდია, „ქვიკ სტეპი")	ყველას იგივე დრო

მე-15 ეტაპი. ემბრუნი — პრატო ნევოსო (იტალია). 183 კმ

1. საიმონ გერენსი (ავსტრალია, „კრედიტ აგრეკოლი")	4სთ 50წთ 44წმ
2. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი")	+3წმ
3. დენი პეიტი (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი")	+10
4. ხოსე ლუის არიეტა (ესპანეთი, AG2R)	+55
5. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	+4,03

საერთო ჩათვლა

1. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC)	63სთ 57წთ 21წმ
2. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი")	+7წმ
3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო")	+8
4. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი")	+38
5. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი")	+39

ბრავო, ჰემი! ბრავო, ნელსინიო!

პარასკევის ორივე თავისუფალი პრაქტიკა, შაბათის კვალიფიკაცია და კვირის რბოლა — ჰოკენჰაიმრინგზე, სადაც წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის მე-10 ეტაპი ჩატარდა, ეს ყველაფერი ერთმა კაცმა, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელმა პილოტმა ლუის ჰემილტონმა მოიგო.

კაცი, ვამბობთ და ლაპარაკია 23 წლის ბიჭზე, რომელიც ოდენ მეორე სეზონს ატარებს „სამეფო რბოლებში“ და შარშან, სულ უკანასკნელ მომენტში სასწაულებრივად დაკარგული ჩემპიონობის შემდეგ აშკარად ტიტულზეა დაგეშილი.

გერმანული ტრიუმფი ჰემილტონისთვის ზედიზედ მეორე, სეზონში მეოთხე, კარიერაში კი მერვე იყო და ამ გამარჯვებით ლუისი ერთპიროვნულად გალიდერდა გენერალურ კლასიფიკაციაში. ასეთი რამ კი წლეულს, უკვე მესამედ ხდება — სულ პირველად ჰემილტონი საერთო ჩათვლის თავში პირველ, ავსტრალიურ ეტაპზე გამარჯვების შემდეგ მოექცა, მეორედ მონტე კარლოში ტრიუმფის შემდეგ გალიდერდა და წინა, მშობლიური, ბრიტანული ეტაპი რომ მოიგო, ისე მოხდა, რომ ერთბაშად სამ მრბოლს — ჰემილტონს, მასას, რაიკონენს — ერთნაირი ქულები აღმოაჩნდა. დამატებითი მონაცემების მიხედვით ჰემი მაინც პირველი იყო, მაგრამ ეს პირველობა საზიარო გახლდათ და ახლა კი ლუისი ნამდვილი და ერთპიროვნული ლიდერია.

ჰოკენჰაიმრინგზე ჰემილტონი მართლაც შეუდარებელი იყო. პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებს თავი დავანებოთ და შაბათს, კვალიფიკაციისას, ინგლისელმა სულ უკანასკნელ წამს ააცალა პოული „ფერარის“ ბრაზილიელ ფელიპე მასას. გუშინ კი ჰემი მწვანე ფერის ანთებასთან ერთად გავარდა წინ და თითოეულ წრეზე ნახევარ წამს უგებდა მასას, სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სიტუაცია არც პირველი პიტ-სტოპების შემდეგ შეცვლილა და ჰემილტონს, თითქოს ასე, უპრობლემოდ უნდა მოეგო, მაგრამ აქ ერთბაშად აირია მონასტერი.

ზუსტად რბოლის შუაწელზე ტიმო გლოკის „ტოიოტამ“ ბორდიურზე სისტემატურ გადასვლას ვერ გაუძლო, შეკიდულობის სისტემა გაუტყდა და გერმანელი მრბოლის ბოლიდი საშინელი ძალით მიეხეთქა დამცავ კედელს.

კოშმარული ავარია იყო. „ტოიოტა“ დაიშალა, მაგრამ საბედნიეროდ, გლოკი უვნებელი გადარჩა.

გლოკი გადარჩა, მაგრამ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა და ჰემილტონის კომფორტული უპირატესობიდან აღარაფერი აღარ დარჩა. მერე „მაკლარენ-მერსედესის“ შეფებმა, ერთი შეხედვით ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს — როდესაც პილოტონი ჯერ კიდევ პეისკარს მიჰყავდა და მრბოლები ერთბაშად მიაწყდნენ ბოქსებს მეორე გეგმიური პიტ-სტოპის ცოტა ნაადრევად მოსალევად, „მაკების“ ხელმძღვანელებმა რატომღაც თავიანთ მეორე პილოტს, ფინელ ჰეიკი კოვალაინენს უხმეს და ჰემილტონი კი ტრასაზე დარჩა. აშკარა იყო, რომ საწვავის არსებული მარაგით ჰემი ბოლომდე ვერ გაქაჩავდა და მან ვერც იმხელა უპირატესობა მიიღო, რომ მშვიდად შესულიყო ბოქსში. საბოლოო ჯამში, როდესაც ლუისმა მაინც შეუხვია პიტ-სტოპზე, უკან დაბრუნებული მეოთხე აღმოჩნდა.

შემდეგ ნიკ ჰაიდფელდმაც მიაკითხა ბოქსს და ჰემი მესამე ადგილზე გადავიდა ნელსინიო პიკესა(!) და მასას უკან. დიადი ნელსონ პიკეს ვაჟიშვილი ცალკე თემაა და ჯერ ისევ ჰემილტონისა ვთქვათ — ლუისმა ეგრევე დაიწყო ბრაზილიელებთან არსებული ჩამორჩენის შემცირება და მერე ორი დიდებული გასწრება გააკეთა, ჯერ მასა შეჭამა და ორიოდ წრეში ზედ ჩაროზად პიკე დააყოლა.

დიდებული რამ იყო! ძველი და დალოცვილი, გასული საუკუნის 80-იანი წლები გაახსენებდა კაცს, როდესაც ერთმანეთს ალენ პროსტი, აირტონ სენა, ნელსონ პიკე ნიკი ლაუდა, ნაიჯელ მენსელი უსწრებდნენ ხოლმე.

სხვას ვერაფერს ვიტყვით: ბრავო, ჰემი!

უმცროსმა ნელსონ პიკემ კი სასწაული მოახდინა. „რენომ“ გარისკა, თავისი ახალგაზრდა მძღოლისთვის ერთპიტსტოპიანი ტაქტიკა შეარჩია და ამან გაამართლა კიდეც — ნელსონიო მეორე ადგილზე გავიდა და კარიერაში, უფრო სწორად კი ამ კარიერის მეათე რბოლაში პირველად შედგა პოდიუმზე. ამავდროულად, ეს პოდიუმი „რენოსთვისაც“ პირველი იყო წლევანდელ სეზონში და ფრანგული საჯინიბო აქტიურად ჩაერთო მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში, მით უმეტეს, რომ „ტოიოტა“, „რედ ბული“ და „უილიამსი“ ჰოკენჰაიმრინგზე უქულოდ დარჩნენ.

და ერთიც — უსწრაფესი წრე ჰაიდფელდს დარჩა და ამგვარად, ალბერტო ასკარის ლამის ექვსთეულწლიანი რეკორდი, ზედიზედ შვიდი უსწრაფესი წრე, უვნებლად გადარჩა — კიმი რაიკონენმა აქამდე მიჯრით ექვს ეტაპზე აჩვენა წრეზე საუკეთესო დრო, მაგრამ მეშვიდედ ველარ შეძლო.

ძახა ლომაძე

ფორმულა 1-ს წარმოგიდგენთ

Mobil 1

ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეათე ეტაპი

რბოლის შედეგები

გერმანიის დიდი პრიზი
20 ივლისი. ჰოკენჰაიმი
დისტანცია 66 წრე — 301,884 კმ

1(1). ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი“)	1სთ.31წთ.20,874წმ(საშ სიჩქარე 198,286 კმ/სთ
2(17). ნელსინიო პიკე (ბრაზილია, „რენო“)	+5,5წმ
3(2). ფელიპე მასა (ბრაზილია, „ფერარი“)	+9,3
4(12). ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, „BMW-ზაუბერი“)	+9,8
5(3). ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“)	+12,4
6(6). კიმი რაიკონენი (ფინეთი, „ფერარი“)	+14,4
7(7). რობერტ კუბიცა (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“)	+22,5
8(9). სებასტიან ფეტელი (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი“)	+33,2
9(4). იარნო ტრული (იტალია, „ტოიოტა“)	+37,1
10(13). ნიკო როსბერგი (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა“)	+37,6
11(5). ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, „რენო“)	+38,6
12(15). სებასტიენ ბურდე (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი“)	+39,1
13(10). დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო“)	+54,9
14(20). ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი“)	+59,0
15(16). კაძუკი ნაკაჯიმა (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა“)	+1.00,0
16(19). ადრიან სუტილი (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი“)	+1.09.4
17(14). ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, „ჰონდა“)	+1 წრე
რბოლას გამოეთიშნენ	
18(18). რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, „ჰონდა“)	გაიარა 50 წრე
19(8). მარკ ვებერი (ავსტრალია, „რედ ბული-რენო“)	40
20(11). ტიმო გლოკი (გერმანია, „ტოიოტა“)	35

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული	
ჰემილტონი	1 წთ 15,666 წმ (საშ. სიჩქარე 217,667 კმ/სთ)

საუკეთესო წრე	
ჰაიდფელდი	1 წთ 15,987 წმ (საშ. სიჩქარე 216,700 კმ/სთ)

Formula 1	ავსტრალია 16 მარტი	მალაიზია 23 მარტი	ბაჰრეინი 6 აპრილი	მალაიზია 27 აპრილი	თურქეთი 11 მაისი	ესპანეთი 25 მაისი	კანადა 8 ივნისი	საფრანგეთი 22 ივნისი	ბრიტანეთი 6 ივლისი	გერმანია 20 ივლისი	უნგრეთი 3 აგვისტო	ევროპა 24 აგვისტო	बელგია 7 სექტემბერი	იტალია 14 სექტემბერი	სინგაპური 28 სექტემბერი	იაპონია 12 ოქტომბერი	ჩინეთი 19 ოქტომბერი	ბრაზილია 2 ნოემბერი	ჯამი
1 ჰემილტონი	10	4	—	6	8	10	—	—	10	10									58
2 მასა	—	—	10	8	10	6	4	10	—	6									54
3 რაიკონენი	1	10	8	10	6	—	—	8	5	3									51
4 კუბიცა	—	8	6	5	5	8	10	4	—	2									48
5 ჰაიდფელდი	8	3	5	—	4	—	8	—	8	5									41
6 კოვალაინენი	4	6	4	—	—	1	—	5	4	4									28
7 ტრული	—	5	3	1	—	—	3	6	2	—									20
8 ვებერი	—	2	2	4	2	5	—	3	—	—									18
9 ალონსო	5	1	—	—	3	—	—	1	3	—									13
10 ბარიკელო	—	—	—	—	—	3	2	—	6	—									11
პიკე — 10, ნაკაჯიმა, როსბერგი — 8-8, ფეტელი — 6, გლოკი — 5, ბატონი — 3, ბურდე — 2 ქულა																			
1 ფერარი	1	10	18	18	16	6	4	18	5	9									105
2 BMW	8	11	11	5	9	8	18	4	8	7									89
3 მაკლარენი	14	10	4	6	8	11	—	5	14	14									86
4 ტოიოტა	—	5	3	1	—	—	8	6	2	—									25
5 რედ ბული	—	2	2	4	2	5	6	3	—	—									24
რენო — 23, უილიამსი — 16, ჰონდა, — 14, ტორო როსო — 8 ქულა																			

გრეგ ოდენის ოდა

უსაქმური გოლიათი ჰატარა ქალმა დააფეთა

ამერიკაში სპორტსმენები იშვიათად იძლევიან ვრცელ ინტერვიუებს. თამაშის ან ვარჯიშის მერე, კი ბატონო, ზრდილობიანად პასუხობენ ორიოდ კითხვაზე, მერე კი უფრო ზრდილობიან მადლობას იტყვიან და გასახდელისკენ გასწევენ. მაგრამ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ცენტრი გრეგ ოდენი ისე იყო დანატრებული აბეზარ ჟურნალისტებთან ურთიერთობას, რომ ხალისიანად პასუხობდა yahoo.com-ის მხიარული კორესპონდენტის ძმაბიჭურობამდე თამამ კითხვებს. 216-სანტიმეტრიანი გოლიათი ოდენი შარშანდელ დრაფტზე პირველ ნომრად აირჩია „პორტლენდმა“, მაგრამ კალათბურთელს მუხლის ტრავმამ და ოპერაციამ მთლიანად გამოატოვებინა განვლილი სეზონი.



— სანამ პირველ შეკითხვას დაგისვამდე, მოდი ერთი რამ დავაზუსტოთ: ამ ბოლო კვირაში ბევრი გაცვლა-გამოცვლა იყო და მინდა დავრწმუნდე, რომ ისევ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ წევრი ხარ.

— რა თქმა უნდა, ისევ პორტლენდელი ვარ, რამდენადაც ვიცი.

— კევინ პრიტჩარდმა შემთხვევით „მინესოტაში“ ხომ არ გაგცვალა დრაფტის მეორე რაუნდის მე-18 ნომერში, ან ვინმე ამგვარში?

— გამაცინეთ... იმედია, რომ არა.

— კარგი, მაშ, ინტერვიუ სულ თავიდან დავიწყოთ: როგორაა შენი მარჯვენა მუხლი? ოპერაციის მერე თავს გრძნობ თუ არა 100 პროცენტით მზად?

— ჩემი მარჯვენა მუხლი თავს კარგად გრძნობს. იცით, ასეთი ტიპის ოპერაციის შემდეგ, რეალურად ვერც გეტყვით, როდის ვიქნები 100 პროცენტით მზად. მხოლოდ ის ვიცი, რომ მინდა ბოლომდე დავიხარჯო და ამისთვის ნამდვილად მზად ვარ. წელან აგერ, ბიჭებსაც ვუთხარი, რაღაც დისკომფორტს ვგრძნობ-მეთქი, მაგრა რას ვიზამ, უნდა შევეჩვიო.

— გარანტიას იძლევი, რომ რეგულარული ჩემპიონატის გახსნის მერე რამდენიმე წუთში მოედანზე იქნები და ხელში ბურთი გეჭირება?

— რა თქმა უნდა. თუ ყველაფერი სწორი გზით წავიდა, დიდი იმედი მაქვს, რომ პირველივე დღეს ვითამაშებ. დამიჯერეთ, ეს ყველაზე მეტად მინდა.

— როგორ გგონია, მთელი წელი სკამზე ჯდომამ და თამაშის იქიდან ყურებამ ხელი ხომ არ შეუშალა ნბა-ში შენს პროგრესს?

— სიმართე რომ გითხრათ, გუნდთან ერთად მოგზაურობა და ყველაფრის გარედან ყურება საშინლად დამღლელია, მაგრამ ამავე დროს ეს მომწიფებაში დამეხმარა კიდეც. წნეხისგან თავისუფალი ვიყავი და უფრო იოლად შევეგუე ნბა-ში ცხოვრებას. ახლა კარგად ვიცი, რაც უნდა ვაკეთო.

— რაც ბურთს ხელი მოკიდე, მგონი მას მერე არ ყოფილხარ ამდენი ხანი უქმად. ამ ერთი წლის განმავლობაში რითი იყავი დაკავებული?

— ძირითადად ძალოსნობის ოთახში ვიყავი შტანგის ქვეშ, რათა შემდეგი სეზონისთვის წონა არ დამეკარგა და პირიქით, მომემატებინა, მაგრამ მოედანზეც გავდიოდი და რამდენიმე სათამაშო კომპონენტს ვხვეწდი, ცხადია, რამდენადაც ამის საშუალებას მუხლი მაძლევდა. ბევრი ვიმუშავე ნახტომში სროლაზე და ფარქვეშ მოძრაობის ზოგიერთ კომპონენტზე. ასე რომ, მზად ვარ დებიუტისთვის.

— ჩვეულებრივ, „პორტლენდს“ დრაფტის მერე მშფოთვარე ღამეები აქვს ხოლმე, წინ და უკან ცვლის პირველ და მეორე წრეში არჩეულებს. ამ დრაფტზე კვამლი რომ გაიფანტა, შენს გუნდს შერჩა ჯარედ ბეილისი, ნიკოლას ბათუმი და კიდევ მეორე წრეში არჩეული რამდენიმე ბიჭი. მოგწონს „პორტლენდის“ რჩეულები? ბეილისი ხომ არ გინახავს საზაფხულო ლიგაში?

— მისი თამაში არ მინახავს, მაგრამ მსმენია, რომ კარგი გამთამაშებელია.

— მართლა არ გინახავს?

— მართლა. მხოლოდ youtube-ზე ვნახე მისი რამდენიმე კლიპი.

— მაშინ გეტყვი, რომ კარგი კი არა, ძალიან კარგი გამთამაშებელია, ზედახორაშიც ახერხებს ბურთის მიღებას და გაცემას.

— კარგი დროის გატარება მოგვიწევს ერთად...

— რა მიზნები აქვს შენს გუნდს მომავალ სეზონში?

— წინა სეზონთან შედარებით მეტი თამაშის მოგება.

— ამგვარად პლეი ოფისკენ გაგიწევიათ, ბიჭებო?

— კარგი იქნება, ასე რომ მოხდეს. დასამარცხებლად არცერთ შეხვედრაში არ გავალთ მოედანზე და ყველასთან მოსაგებად ვიბრძოლებთ. და თუ 5 თამაშით მეტი მაინც მოვიგეთ, ვიდრე განვლილ სეზონში, მგონი ყველა კმაყოფილი დავრჩებით გუნდის მფლობელიდან დაწყებული და პირსახოცის მიმწოდებლით დამთავრებული.

— მოდი, ერთი წუთით სათამაშო მოედნიდან გვერდზე გავიდეთ. შენი ახალი ვარცხნილობით მოჰავკებს გავხარ. ხალათში ტომაჰავკიც ხომ არ გაქვს დამალული?

— არა, მოჰავკობას არ ვცდილობ... ეგაა, გრძელი თმა მომეზარდა და ცოტა ხანი გავერთე. ასე ორიოდე კვირა ვივლი, მერე კი შევიჭრი, აბა რას ვიზამ. ისე, ხომ მიხდება?

— ქალაქი პორტლენდი როგორ მოგეწონა? ჩვეულებრივ დრაფტის პირველ ნომრებს, თან იმხელებს, შენ რომ ხარ, უფრო დიდი მეგაპოლისები ურჩევნიათ, ნიუ იორკი, ლოს ანჯელესი, ჩიკაგო...

— ძალიანაც მომწონს. ხომ იცით, დიდ ქალაქში ცოტა სხვანაირადაა, იქ შენს გარშემო იმდენი ხალხი ტრიალებს, თანაც ყველა შენში სუპერვარსკვლავ-ათლეტს ხედავს, რომ შენც ძალაუნებურად ამ სიგიჟის ნაწილი ხდები. მაგრამ პორტლენდში სხვა სიტუაცია დამხვდა, აქ ხალხი უფრო მეგობრულადაა განწყობილი და უფრო გულახდილი ურთიერთობა ყალიბდება.

— გავიგე, რიჰანას კონცერტზე ყოფილხარ და მერე შეხვედრიხარ კიდეც. მასთან თუ წაგივიდა გულახდილი ურთიერთობა? თვალები ხომ არ დაჭყიტა ამოდენა კაცის დანახვაზე?

— ჰა-ჰა-ჰა... სანამ შევხვდებოდი, თავს ვიმტვრევდი, ერთი ფრაზით როგორ მომეგო მისი გული, მაგრამ რომ შევხვდი, ყველაფერი გადამავიწყდა და რაღაც სისულელები ვროშე. ბევრი იხითხითა და გული რომ იჯერა, მერე მართლა გამიხდა თავი სამტვრევი. ამ გოგომ მართლა მომაჯადოვა!

— ბოლო კითხვა, ოღონდ ძალიან ნუ გაიკვირვებ: ორი ცხოველის გაერთიანება რომ შეგეძლოს, რათა ერთი სუპერ-ცხოველი შექმნა, რომლებს აირჩევდი?

— მაიმუნს და რომელიმე ფრინველს. მინდა ვიყო მფრინავი მაიმუნი, რომელსაც კალათბურთის თამაში ეცოდინება

საბერძნეთი ხორვატია და პუერტო რიკო

ათენში გუშინ დასრულდა ოლიმპიური საგზურებისთვის ბრძოლა. პეკინის უკანასკნელი სამი ადგილისთვის პრეტენზიას აცხადებდა 12 გუნდი, რომელთაგან სამი რჩეული უნდა გამოვლენილიყო.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ რვა საუკეთესომ მეოთხედფინალიდან გააგრძელა ბრძოლა. ნახევარფინალებს უწიეს ხორვატიამ, გერმანიამ, პუერტო რიკომ და მასპინძელმა საბერძნეთმა. ხორვატებმა 21 ქულით დაამარცხეს და მეოთხედფინალში ჩატოვეს სტივ ნეშის გარეშე მოთამაშე და ამდენად უშანსოდ მყოფი კანადელები. დირკ ნოვიცკის ლიდერობით გერმანიამ ბრაზილია ზედიზედ მეორედ დატოვა უოლიმპიადოდ. საბერძნეთმა კი 27 ქულით შემუსრა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რაღაც სასწაულით მეოთხე ადგილზე გასული, მაგრამ მერე გაშიფრული და ვეღარსად გაჭაჭანებული ახალი ზელანდია. ყველაზე დაძაბული მეოთხედფინალური შეხვედრა კი პუერტო რიკოსა და სლოვენიას შორის გახურდა. ორივე ნაკრებს მდიდარი ტრადიცია და არაერთი ნბაელი უმაგრებდა ზურგს და საბოლოოდ ლათინოამერიკელებმა იძალეს 3 ქულით.

მაგრამ თუ სლოვენიას ასე თუ ისე აჯობეს, პუერტორიკოელები ვეღარას გახდნენ ბერძნებთან, ვისთანაც 15 ქულით დამარცხდნენ. საბერძნეთი ფინალში გავიდა და ოლიმპიური საგზურიც დაიბევა, ისევე როგორც მეორე ნახევარფინალში გერმანიის მძლეველმა ხორვატიამ. გერმანელებს ვერ უშველა დირკ ნოვიცკიმაც, ვინაც სულ ამაოდ მოაგროვა 30 ქულა და 13 მოხსნა, ძალიან ბევრი, 40-წუთიანი „ევროპული“ მატჩისთვის. დირკს და მის რაზმს მაინც ჰქონდა ერთი შანსი: ათენური ტურნირის მცირე ფინალში, მესამე ადგილისთვის მატჩში უნდა დაემარცხებინა პუერტო რიკო. ეს შეხვედრა წუხელ გვიან გაიმართა და როგორც ყოველთვის, გერმანია ახლაც ნოვიცკის გრძელ ხელებს ჩამოეკიდა, მაგრამ მაის ვერაფერს გახდა და პეკინში პუერტო რიკო გაუშვა.

ვანო კოგიაშვილი

საქართველო წაგებებში ითელება

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ახლა იტალიაშია, სადაც ოთხთა ტურნირზე თამაშობს და 1 აგვისტოს რომში დასაწყებ ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება.

ოთხთა ტურნირის პირველ დღეს დავით უსტიაშვილის გუნდი მასპინძელ იტალიას შეხვდა და 55:64 წააგო. ჩვენებმა მხოლოდ პირველი მეოთხედის მოგება შეძლეს, დანარჩენ სამში კი კალათბურთისთვის მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ.

მეოთხედების ანგარიში ასეთია: 16:15, 12:15, 14:20, 1,,514.

ტურნირის მეორე დღეს, საქართველოს ნაკრები საბერძნეთს შეხვდა და კვლავ წააგო. ამჯერად ჩვენები 75:82 დამარცხდნენ და ტურნირის ბოლო მატჩში ჩვენსავით მოუგებელ სლოვენიას შეხვდებიან. სლოვენიელებმა იტალიელებთან 71:72, ხოლო ბერძნებთან 55:56 მატჩების ბოლო წამებზე წააგეს.

ვთქვათ, რომ ამ ოთხთა ტურნირს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად იყენებს. ევროპის ჩემპიონატი რიგაში 1-10 აგვისტოს ჩატარდება. კენჭისყრით ჩვენები ჯგუფში იტალიის, თურქეთისა და ისრაელის ნაკრებებთან მოხვდნენ.

ბაჩო სვანიძე



სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		სლოვაკეთი. I ლიგა						
		21 ივლისი						
21:30	40	ჟილინა-ზლატე მორავცე	1.20	5.20	9.50	1.00	1.06	3.36
		დანია. სუპერლიგა						
		21 ივლისი						
18:00	98	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.45	4.10	6.80	1.07	1.19	2.55
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		21 ივლისი						
20:00	105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	1.95	3.30	3.65	1.22	1.27	1.73
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		21 ივლისი						
22:45	146	სტ.პატრიკსი-შემროკი	1.65	3.40	5.20	1.11	1.25	2.05
		შვედეთი. ალსვენსკა						
		21 ივლისი						
18:00	122	ლიუნგსკილე-აიკ	4.80	3.40	1.70	1.99	1.25	1.13
18:00	123	კალმარი-მალმიო	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99
18:00	124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	2.05	3.20	3.25	1.24	1.25	1.61
		შვედეთი. სუპერეტა						
		21 ივლისი						
21:00	41	ვესბი-დეგერფორსი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
21:00	42	ქვიდინგი-ლანდსკრონა	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
21:00	43	იონკოპინგი-იორგრიტე	4.50	3.40	1.65	1.93	1.20	1.11
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		21 ივლისი						
19:30	44	იარო-ინტერი	3.45	3.20	1.95	1.66	1.24	1.21
19:30	133	როვანიემი-კუოპიო	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
		იაპონია						
		21 ივლისი						
13:00	153	ურავა-კავასაკი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
13:00	155	კიოტო-ტოკიო	2.20	3.40	2.75	1.33	1.22	1.52

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10041	ვესბი-დეგერფორსი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10042	ქვიდინგი-ლანდსკრონა	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10043	იონკოპინგი-იორგრიტე	4.90	2.10	2.10	1.47	1.47	1.04
10044	იარო-ინტერი	3.85	2.00	2.30	1.31	1.43	1.06
10098	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	2.35	2.00	3.80	1.08	1.45	1.31
10122	ლიუნგსკილე-აიკ	5.10	2.10	2.05	1.48	1.46	1.03
10123	კალმარი-მალმიო	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10133	როვანიემი-კუოპიო	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11041	ვესბი-დეგერფორსი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11042	ქვიდინგი-ლანდსკრონა	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11043	იონკოპინგი-იორგრიტე	7.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.50
11044	იარო-ინტერი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11098	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11122	ლიუნგსკილე-აიკ	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11123	კალმარი-მალმიო	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11133	როვანიემი-კუოპიო	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15041	ვესბი-დეგერფორსი	3.00	2.80	2.00
15042	ქვიდინგი-ლანდსკრონა	3.00	2.80	2.00
15043	იონკოპინგი-იორგრიტე	3.00	2.80	2.00
15044	იარო-ინტერი	3.00	2.80	2.00
15098	კოპენჰაგენი-ესბიერგი	3.00	2.80	2.00
15105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	3.00	2.80	2.00
15122	ლიუნგსკილე-აიკ	3.00	2.80	2.00
15123	კალმარი-მალმიო	3.00	2.80	2.00
15124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	3.00	2.80	2.00
15133	როვანიემი-კუოპიო	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16041	ვესბი-დეგერფორსი	1.58	2.10
16042	ქვიდინგი-ლანდსკრონა	2.10	1.60
16043	იონკოპინგი-იორგრიტე	3.00	1.30
16044	იარო-ინტერი	2.40	1.45
16098	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.12	4.60
16105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	1.38	2.65
16122	ლიუნგსკილე-აიკ	3.30	1.25
16123	კალმარი-მალმიო	1.24	3.60
16124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	1.45	2.45
16133	როვანიემი-კუოპიო	1.23	3.60

გოლი:ყველი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ყველად)

17041	ვესბი-დეგერფორსი	1.85	1.95
17042	ქვიდინგი-ლანდსკრონა	1.85	1.95
17043	იონკოპინგი-იორგრიტე	1.85	1.95
17044	იარო-ინტერი	1.85	1.95
17098	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.85	1.95
17105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	1.85	1.95
17122	ლიუნგსკილე-აიკ	1.85	1.95
17123	კალმარი-მალმიო	1.85	1.95
17124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	1.85	1.95
17133	როვანიემი-კუოპიო	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14041	ვესბი-დეგერფორსი	1.80	2.00
14042	ქვიდინგი-ლანდსკრონა	2.00	1.80
14043	იონკოპინგი-იორგრიტე	2.40	1.45
14044	იარო-ინტერი	2.20	1.70
14098	კოპენჰაგენი-ესბიერგი	1.20	2.60
14105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი	1.70	2.20
14122	ლიუნგსკილე-აიკ	2.40	1.45
14123	კალმარი-მალმიო	1.45	2.40
14124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი	1.75	2.10
14133	როვანიემი-კუოპიო	1.45	2.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12041	ვესბი-დეგერფორსი 2,5	1.80	1.80
12042	ქვიდინგი-ლანდსკრონა 2,5	1.90	1.70
12043	იონკოპინგი-იორგრიტე 2,5	2.00	1.60
12098	კოპენჰაგენი-ესბიერგი 2,5	2.00	1.60
12105	სტაბეკი-ფრედრიკსტადი 2,5	1.90	1.70
12122	ლიუნგსკილე-აიკ 2,5	1.70	1.90
12123	კალმარი-მალმიო 2,5	1.90	1.70
12124	ჰელსინგბორგი-იურგორდენი 2,5	1.90	1.70

ამპარტავანი მლიქვნელი და ფლიდი



„მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ტოტენჰემ ჰოთსფურმა“ ერთმანეთს ომი გამოუცხადეს. ლონდონელებმა მანჩესტერელებს დასწამეს მატყუარობა და მანჩესტერელებმაც ლონდონელებს დასდეს ტყუილებში ბრალი. მიზეზი კი, თან იოლი მისახვედრია და თან ვერც გაიგებ, რა ხდება: პრემიერლიგის გუნდები, ერთი შეხედვით, ბულგარელ დიმიტარ ბერბატოვს ვერ იყოფენ.

„სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილია, თითქოს, „იუნაიტედი“ „სფურზის“ ვარსკლავის ყიდვას ლამობდა და საქმე დაბრულიც იყო, მაგრამ დახეთ უცნაურობას — მანჩესტერელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ბულგარელის შეძენაზე სიტყვაც კი არასდროს დაცდენია. ამის გაგონებაზე, აღშფოთებულმა ლონდონის კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ფერგიუსონი ტყუის, რის დასამტკიცებლადაც ჩანაწერების წარმოდგენაც კი შეუძლია. ლონდონელთა თქმით, სერ ალექსი ბერბატოვის გადაბირებას ფანებს ჰპირდებოდა. მათ ასეთ განცხადებას, თავის მხრივ, უკვე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფისი გამოეხმაურა და დასჭექა, რომ მის მწვრთნელს ნათქვამი ვერ გაუგეს კარგად — 25-მილიონგირვანქიანი ტრანსფერი გამოგონებული ყოფილა. ამაზე უკვე „ტოტენჰემის“ პასუხი, პრემიერლიგაში ჩივილი გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ „ტოტენჰემ ჰოთსფური“ „მანჩესტერის“ გარდა „ლივერპულსაც“ უჩივის. მერსისაიდელების მიმართ ლონდონელებს რობი კინთან დაკავშირებული პრეტენზია აქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ „ლივერპული“ მათ ზურგსუკან ცდილობდა კინის მოთაფვლას და გადაბირებას. მაგრამ დავუბრუნდეთ მანჩესტერელებთან დაპირისპირების ისტორიას. აი, რა განაცხადა „სფურზის“ პრესმდივენმა:

„მანჩესტერული კლუბისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ალექს ფერგიუსონმა დიმიტარ ბერბატოვის ყიდვის შესახებ გულშემატკივრებთან შეხვედრისას ილაპარაკა. ამის დამდასტურებელ საბუთებს პრემიერლიგის შესაბამის ორგანოს წარვუდგენთ. ყველაფერი, რასაკვირველია, ადვოკატების დამოწმებული იქნება. ფაქტები რომ არ გვქონდეს, ამ საკითხზე საერთოდ არ დავიწყებდით ლაპარაკს და საერთოდაც, კარგი იქნება, ალექს ფერგიუსონს თუ შევეკითხებით, შეხვდა თუ არა „ოლდ ტრეფორდის“ რომელიმე წარმომადგენელი თავად ბერბატოვს ან მის აგენტს“.

სკანდალი, რომელმაც ფრიად შთამბეჭდავი სახე მიიღო, გასულ პარასკევს ატყდა, როდესაც „სფურზის“ თავმჯდომარემ დენიელ ლივიმ ალექს ფერგიუსონს უღირსი, ამპარტავანი მლიქვნელი და ფლიდი უწოდა და დასძინა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფი მის 27 წლის თავდამსხმელს მალულად ურიგდებოდა.

„სფურზის“ თავმჯდომარის ეს განრისხება ფერგიუსონის ერთ ციტატას მოჰყვა. ციტატა ასეთი გახლდათ:

„ჩვენ „ტოტენჰემ ჰოთსფურსს“ ბერბატოვთან დაკავშირებით ოფიციალურად მივმართეთ და იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკებები შედეგს გამოიღებს, ბერბატოვი ჩვენს გუნდს თავდასხმაში დიდ ძალას შემატებდა. იმედი გვაქვს, რომ ლონდონელებს უახლოეს ხანს კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს გავუმართავთ“.

დენიელ ლივიმ კი ამის გაგონებაზე ცა და დედამიწა შეძრა:

„ასეთი რამ, დღევანდლამდე, პრემიერლიგის არცერთ მენეჯერს არ უკადრებია. ჩვენ, პასუხად, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ოფიციალურად ვუჩივლეთ. ამ გუნდის მწვრთნელის ნათქვამიდან ისე ჩანს, რომ „იუნაიტედი“ მილაპარაკებების გაგრძელებასა და წარმატებაში დარწმუნებულია. ეს ნათლად ადასტურებს, თუ რაოდენ თავხედი და ამპარტავანი კაცია ის და როგორ არ აგდებს არაფრად ჩვენს მოთამაშეს“.

ლივის ამ ნათქვამს ფერგიუსონმა ასე უპასუხა:

„ის, რასაც „ტოტენჰემი“ აკეთებს, სასაცილოა. მათ მთელი თავიანთი მოქმედება საგაზეთო პუბლიკაციებზე ააგეს. მე წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოდის ის სიტყვები, რასაც ბრალად მდებენ. მე ასეთი რამ არ მითქვამს. მართალი გითხრათ, პირადად მე სტატია თავიდან ბოლომდე არც წამიკითხავს. მეტი წილი ჩვენმა პრესოფიცერმა მიამბო, მაგრამ დენიელ ლივი სხვანაირი კაცია. ის გაზეთების მონაჭორზე აგებს თავის პოლიტიკას. დარწმუნებული ვარ, იურისტები ამ საქმეს ჩემზე უწინ და უკეთ მოაგვარებენ“.

პაპუნა კედია

რონალდუმ ფერგიუსონს ღმერთით უპასუხა



კრიშტიანუ რონალდუმ ალექს ფერგიუსონი ტყუილში ამხილა. „მანჩესტერის“ მწვრთნელმა პარასკევს თქვა, ფეხბურთელს ორშაბათს შევხვდები პირისპირ სასაუბროდ, მაგრამ უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონშიც ჩვენთან დარჩებაო.

ნაოპერაციები ფეხით აშშ-ში დასასვენებლად ჩასულმა პორტუგალიელმა საპირისპირო განაცხადა, ჯერ არ მომიფიქრებია, დავრჩები თუ წავალო.

„აურაცხელი კითხვა დაგროვდა ჩემს გარშემო „მანჩესტერის“ და მადრიდის „რეალის“ გამო — უთხრა ფეხბურთელმა ESPN-ს — რა გნებავთ, რომ გიპასუხოთ? ვრჩები თუ მივდივარ? მომავალზე არაფერი ვიცი. მხოლოდ ღმერთმა იცის. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

დიდ კლუბებს ყოველთვის დიდი ფეხბურთელები სურთ. ეს ნორმალურია.

ჩემს გარდა კიდევ არიან ძალიან კარგი მოთამაშეები და მათზეც „ნადირობენ“. მხოლოდ წელს კი არა, ადრეც ვყოფილვარ მსგავს ვითარებაში და ასეთი ვითარება სრულიად არ მოცებს.

მინდა, ბედნიერი ვიყო მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლუბში ვითამაშებ. ბედნიერი კი იქ ვიქნები, სადაც გვერდითმდგომები მეყვარება და მოტივაცია არ მომაკლდება.

„მანჩესტერში“ მოტივირებული ვარ თუ არა? ყველთვის ვიყავი. ამბიცია არასოდეს მაკლდა და სულ უკეთესობისკენ მივიწევ. მომავალში სად ვითამაშებ, არ ვიცი, მაგრამ წინსვლას განვაგრძობ. მომავალი არ მაღელვებს. ჯერ ვისვენებ და მერე რა მოხდება, ღმერთმა უწყის და არა მე“.

ვაჟა ხუციშვილი

ჯონსი სტარტს გამოტოვებს

ინგლისური „სანდერლენდის“ თავდამსხმელი კენუაინ ჯონსი პრემიერლიგის სტარტს გამოტოვებს.

ტრინიდადისა და ტობაგოს ნაკრების ფეხბურთელს მუხლის მყესების სერიოზული ტრავმა აქვს.

სტოკი და კიტსონი

ინგლისის ჩემპიონლიგაში დაქვეითებული „რედინგის“ თავდამსხმელი დეივ კიტსონი პრემიერლიგას უბრუნდება. მისით ელიტაში აღზევებული „სტოკ სიტი“ დაინტერესდა და შეთანხმებასაც მიაღწია. ტრანსფერის თანხა 3,5 მილიონ გირვანქას შეადგენს. გასულ სეზონში კიტსონმა 10-ჯერ გამოიჩინა თავი „რედინგის“ შემადგენლობაში.

მუდინგაი ბოლონიელია

ბელგიის ნაკრების წევრი გაბი მუდინგაი სერია A-ში დაბრუნებულ „ბოლონიას“ შეუერთდება. ბოლო სეზონში იგი უკმაყოფილო იყო რომის „ლაციოში“ ჩატარებული თამაშების რაოდენობით და ამიტომაც გადაწყვიტა ემილია-რომანიაში გადაბარგება. „ბიანკონერელესტე“ მუდინგაის სანაცვლოდ 6,5 მილიონ გირვანქას მიიღებს.

სოლა — 4 წლით

ესპანური „ოსასუნას“ ახალგაზრდა ფორვარდმა ენრიკე სოლამ თავის კლუბთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. ახალი ხელშეკრულების მიხედვით, 22 წლის სოლა 2012 წლამდე დარჩება პამპლონაში.

ბეკერი რჩება

ედმუნდ ბეკერი ბუნდესლიგის „კარლსრუეში“ 2010 წლის 30 ივნისამდე დარჩება. 51 წლის სპეციალისტს კლუბთან კონტრაქტის ვადა 2008-2009 წლების სეზონის ბოლოს ამოეწურა.

ბეკერი ბადენელებთან 2005 წლიდან მუშაობს.

ტულუზმა ლარსენი იყიდა

გელზენკირხენის „შალკე“ და ფრანგული „ტულუზი“ დანიელი თავდამსხმელის სიორენ ლარსენის თაობაზე შეთანხმდნენ. 26 წლის ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში 3 მილიონ ევროდ გადავიდა, მაგრამ „ტულუზში“ მისი წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში, „ხუმარები“ დამატებით ნახევარ მილიონს მიიღებენ.

ლარსენმა 2005-2008 წლებში 51 მატჩი ჩაატარა ვესტფალიელთა შემადგენლობაში და ათჯერ გამოიჩინა თავი.

კაპიტანი რჩება

სიენელთა კაპიტანი სიმონე ვერგასოლა 2011 წლამდე დარჩება კლუბში. 32 წლის ნახევარმცველს აქამდე „კარარეზეს“, „სამპდორიასა“ და „ტორინოს“ შემადგენლობაშიც უთამაშია, სიენელთა რიგებში კი 2003 წლიდან ირიცხება და 86 თამაშში 11 გოლი აქვს გატანილი.

კროსასს შემოსავალი გაუზარდეს

„ბარსელონას“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კლუბის ახალგაზრდა ნახევარმცველ მარკ კროსასს საკონტრაქტო პირობები გაუუმჯობესდება. რაც შეეხება ხელშეკრულების ვადას, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა და ძალაში 2011 წლამდე იქნება.

21 წლის კროსასმა გასული სეზონის ნაწილი ოჯარით „ლიონის“ შემადგენლობაში გაატარა.

ჟიგიჩი ვილაში?

ეტყობა, „ვალენსიას“ ახმახი თავდამსხმელი ნიკოლა ჟიგიჩი ახალ სეზონს სხვა კლუბის შემადგენლობაში დაიწყებს. სერბი „ღამურების“ მწვრთნელ უნაი ემერის სამომავლო გეგმებში არ შედის. როგორც ვალენსიელთა სპორტული დირექტორი ხუან სანჩესი იტყობინება, კლუბმა ჟიგიჩის თაობაზე პრემიერლიგის „ასტონ ვილადან“ შეთავაზება უკვე მიიღო და ყველაფერი ახლო მომავალში გადაწყდება.

ანტუნიეშის იჯარა

სერია A-ში დაბრუნებულმა „ლეჩემ“ რომაელი მცველი ანტუნიეში ოჯარით აიყვანა.

„ანტუნიეში ნამდვილად გადმოვიდა ჩვენთან. ოჯაოის დასრულების შემდეგ კი მისი კონტრაქტის გამოსყიდვის საკითხს განვიხილავთ“ — იტყობინება „ლეჩეს“ ოფიციალური ვებგვერდი.

რეიესს უშვებენ

ერთ დროს ლონდონურ „არსენალში“ გამოსვლით ცნობილმა ხოსე ანტონიო რეიესმა, შესაძლოა, თავისი ამჟამინდელი კლუბი, მადრიდის „ატლეტიკო“ მიატოვოს და „რომაში“ გადაბარგდეს.

როგორც მადრიდელთა მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ განაცხადა, კლუბი აღარ აკავებს რეიესს და მას შეუძლია, სხვაგან გააგრძელოს თავისი კარიერა.

აგირეს გაუხანგრძლივეს

ესპანურმა „ვალიადოლიდმა“ ნახევარმცველ მარკოს აგირესთან ოჯარა გაახანგრძლივა. ეს ფეხბურთელი არგენტინულ „ლანუსს“ ეკუთვნის, ხოლო „ვალიადოლიდში“ 2009 წლის ზაფხულამდე დარჩება. გასულ სეზონში აგირემ პრიმერადივიზიონში 8 მატჩი ჩაატარა.

არჩილ კოგანეიძე

მილანმა 80 მილიონი გირვანქა იუარა

კაკა

ლონდონის „ჩელსის“ ახალ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის კლუბის მფლობელ რომან აბრამოვიჩისთვის ბრაზილიელი კაკა უთხოვია. აბრამოვიჩმა, ბრაზილიელი სპეციალისტის გასახარად, „მილანს“ დიდძალი ფული, ბრიტანულ-იტალიურ პრესას თუ ვენდობით, 80 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ პასუხად მაინც უარი მიიღო.

კაკას წარმომადგენელმა დიოგო კოჩომ კი თქვა, ტრანსფერი სავსებით რეალურია და დიდი შანსია, განხორციელდესო, მაგრამ „მილანმა“ კაკას გაშვება გამორიცხა.

„წინა ზაფხულს მადრიდის „რეალი“ 90 მილიონ ევროს იხდიდა, მაგრამ „მილანმა“ ეს წინადადება ფიქრის ღირსადაც არ ჩათვალა. თუმცა ახლა სხვა ვითარებაა და, ვფიქრობ, ეს ტრანსფერი ძალიან რეალურია, უპირველესად, „როსონერის“ ფინანსური მდგომარეობის გამო. კაკაში აღებული ფული მილანელებს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა. გარდა ამისა, თავად რიკარდოს შემოსავალი ერთიორად გაიზრდებოდა. თან „ჩელსი“ ძლიერი გუნდია, რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდება და ყველაფრის მოგება სურს“ — თქვა კოჩომ.

„როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი: „ვადასტურებთ, რომ „ჩელსიმ“ მიმზიდველი წინადადება შემოგვთავაზა, მაგრამ თანხის ოდენობას არ გავახმაურებთ. ისიც სიმართლეა, რომ ჩვენ უარი ვთქვით. ასე კლუბის მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ გადაწყვიტა. კაკა არ მიდის, არც კლარენს ზეედორფი. ასე რომ, ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ“.

გიორგი კაკაბაძე



ვენგერის იმედი

არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ სეზონის დაწყებამდე სულ მცირე ერთ მოთამაშეს აუცილებლად დაიმატებს. და კიდევ, „არსენალის“ მწვრთნელმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ „მილანისა“ და „ბარსელონას“ ინტერესის მიუხედავად, ემანუელ ადებაიორი ამ სეზონს კვლავ „ემირეითს სთედიუმზე“ გაატარებს.

„ადებაიორი „არსენალის“ მოთამაშეა და ეჭვი არ მეპარება, რომ ის ჩვენთან დარჩება“ — უთხრა ვენგერმა რადიო BBC-ს, ხოლო კითხვაზე, თუ რამდენი კაცის დამატებას აპირებს, უპასუხა: „ერთი, მაქსიმუმ ორი ფეხბურთელის“.

მოგეხსენებათ, ვენგერის გუნდიდან ბოლო პერიოდში წავიდნენ ალექსანდრ გლები, მატიე ფლამინი და ჟილბერტუ სილვა. პირველი „ბარსელონაში“ გადაბარგდა, მეორე — „მილანში“, ხოლო მესამე — „პანათინაიკოსში“. რაც შეეხება ახალწვეულებს, ისინი გახლავან სამირნასრი „მარსელიდან“ და აარონ რემზი „კარდიფიდან“.

ამ უკანასკნელმა ლონდონელთა შემადგენლობაში პირველი თამაში „ბარნეტის“ წინააღმდეგ ჩაატარა. ეს შეხვედრა „არსენალმა“ 2:1 მოიგო. გოლები გაიტანეს ჯეი სიმპსონმა და ჰოლანდიელმა ყმაწვილკაცმა ნასერ ბარაზიტმა.

მატჩის შემდეგ ვენგერმა 17 წლის რემზიზე განაცხადა, რომ მას მომავალ სეზონში სრულყოფილი როლის თამაშიც კი შეუძლია.

„ის კარგად თამაშობდა. მგონი ცოტა დაიღალა, იმიტომ, რომ დიდი სამუშაო გასწია და საერთოდაც, დიდ ამოცანას გახლავთ შეჭიდებული, მაგრამ ჯამში მშვენიერი იყო. ამწუთას ის ისევე, როგორც სხვა ყმაწვილები, ჩვენი გეგმის ნაწილი არის. ამიერიდან შეეხედავ, თუ ისინი მაღალი ხარისხის ფეხბურთს ითამაშებენ, ძირითად შემადგენლობასთან მეტად ახლოს იტრიალებენ“.

პაპუნა კედია

ლაციო ყიდის და ყიდულობს

რომის „ლაციოში“ ცვლილებები გრძელდება. გაბი მუდინგაის გაყიდვის მერე, „ბიანკოჩელესტიმ“ ლუჩანო ძაური „ფიორენტინაში“, ხოლო ვალონ ბეჰრამი „ვესტ ჰემში“ გაუშვა. სამაგიეროდ, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ დედაქალაქელები ბრაზილიელ ფრანსელინო მატუსალემს დაიმატებენ.

30 წლის ძაური, რომელსაც დაცვაშიც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც, „იებში“ იჯარის წესით გადავიდა. მომავალ ზაფხულს ფლორენციელებს მისი ბოლომდე გამოსყიდვა დაახლოებით 3,5 მილიონ ევროდ შეეძლებათ და, ალბათ, ასეც იქნება.

სხვათა შორის, ძაურის „ფიორენტინას“ ქომაგები ცივად შეხვდნენ, რადგან მათ ჯერ კიდევ ახსოვთ 2005 წლის 22 მაისს მომხადრი ინციდენტი, როცა ძაურიმ აშკარად კარს შიგნიდან გამოიტანა ბურთი, მაგრამ მსაჯმა და ლაინსმენმა ეს ვერ შენიშნეს. თავად ფეხბურთელმაც არაფერი თქვა და საბოლოოდ ის შეხვედრა 1:1 დასრულდა. არადა, „იებს“ სამი ქულა ძალიან სჭირდებოდათ.

ლუჩანო ძაური: „ნამდვილად ცუდი ინციდენტი იყო და ახლა მხოლოდ ბოდიშის მოხდა შემიძლია. მაშინ ინსტინქტურად ვიმოქმედე და ამით არ ვამაყობ. მიხარია, რომ ტრანსფერი იმ ინციდენტის გამო არ ჩაშალა, მაგრამ ვწუხვარ, ფანებმა ცუდად რომ მიმიღეს. იმედია, კარგად ვითამაშებ და გულშემატკივრები ჩემზე აზრს შეიცვლიან“.

ძაურის დარად, ბეჰრამისაც შეუძლია როგორც ნახევარდაცვაში, ასევე დაცვაში თამაში. შვეიცარიის ნაკრების 23 წლის ფეხბურთელი „ვესტ ჰემში“ 5 მილიონ გირვანქად გადავიდა.

რაც შეეხება მატუსალემს, იგი უკვე რომშია, სამედიცინო შემოწმება გაიარა და ტრანსფერიც დღეს გაფორმდება. 28 წლის ნახევარმცველი „ლაციოში“ იჯარის წესით ჩაირიცხება. მომავალ ზაფხულს კი „ბიანკოჩელესტის“ „სარაგოსასგან“ მისი გამოსყიდვა დაახლოებით 7 მილიონ ევროდ შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ მატუსალემი იტალიაში 1999-2004 წლებში თამაშობდა. იგი „ნაპოლიში“, „პარმაში“, „პიაჩენცასა“ და „ბრეშაში“ ირიცხებოდა.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ იტალიაში დავბრუნდი. სერია A-ს კიდევ რამდენიმე კლუბიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ „ლაციო“ ვარჩიე, რადგან ჩინებული გუნდია, ხოლო რომი — ბრწყინვალე ქალაქი. თან აქ საოცარი ქომაგები არიან. გუნდის მიზანი ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებაა და მეც მოტივირებული გახლავართ“ — თქვა მატუსალემმა.

კოკი კანდელაკი

მატუსალემი

გამოძიება გრძელდება

გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ, „ატალანტასა“ და „ლივორნოს“ სერია A-ს გასული სეზონის ორივე ურთიერთშეხვედრის გარიგებაში დასდეს ბრალი. ემანუელ და ანტონიო ფილიპინები და ალესანდრო გრანდონი იმაში არიან ეჭვმიტანილნი, რომ ეს ამბავი იცოდნენ და სათანადო ორგანოები საქმის კურსში არ ჩააყენეს, ხოლო გუნდების მაშინდელი კაპიტნები — დავიდ ბალერი და ჯანპაოლო ბელინი — გარიგების ორგანიზატორებად მოიაზრებიან.

პროკურორი სტეფანო პალაცო ბალერისა და ბელინის სამწელიწადნახევრით ფეხბურთიდან მოკვეთას, ხოლო კლუბებისთვის 6-6 ქულის დაკლებას ითხოვს. გამოძიება გრძელდება და საბოლოო გადაწყვეტილება ალბათ აგვისტოს ბოლომდე გახდება ცნობილი.

„ატალანტასა“ და „ლივორნოს“ ხელმძღვანელები მშვიდად არიან, არაფერი დაგვიშავებია და, შესაბამისად, სასჯელისაც არ გვეშინიაო.

„მშვიდად ვართ, პალაცოს ბრალდებები თითიდან გამოწოვილია. დაველოდოთ სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებას. ჩვენს სიმართლეში დარწმუნებულნი ვართ“ — თქვა „ატალანტას“ გენერალურმა მენეჯერმა ალესანდრო რუჯერიმ.

ალდო სპინელი

„ლივორნოს“ პრეზიდენტი ალდო სპინელი: „ძალიან მშვიდად ვარ. უსაფუძვლო ბრალდებები არ მაღელვებს. ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ გუნდმა მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი კარგად გაიაროს“.

კოკი კანდელაკი

ალბელდას ბარგი უთხრეს

„ვალენსიას“ ახალმა მწვრთნელმა უნაი ემერიმ დავიდ ალბელდას სხვა კლუბის მოძებნა ურჩია.

30 წლის ნახევარმცველი მიგელ ანგულოსა და სანტიაგო კანისარესთან ერთად, შარშან რონალდ კუმანმა მოიძულა და სათადარიგოთა სკამსაც არ გააკარა.

ივნისში ამბობდნენ, რომ დავიდ ალბელდათი „ჩელსი“ იყო დაინტერესებული, მაგრამ საქმე ლაპარაკს არ გასცილებია.

წინა სეზონის დასრულების შემდეგ უნაი ემერიმ დროებითი მწვრთნელი სალვადორე გონსალესი შეცვალა და ალბელდას უთხრა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი კვლავ ექნებოდა, რამდენიმე დღის წინ კი გადაიფიქრა და სეზონისწინა ერთკვირიანი ვარჯიშის შემდეგ ნახევარმცველს გამოუცხადა, აღარ მჭირდებიო.

„კუმანის მწვრთნელობისას გუნდში ვითარება აიწეწა — თქვა ემერიმ — ვფიქრობ, რომ ყველასთვის აჯობებს, თუ დავიდ ალბელდა „ვალენსიადან“ წავა და სხვა კლუბს მოძებნის“.

30 წლის ნახევარმცველის ადგილი „ღამურებში“ აღარაა, მაგრამ უფასოდ გაშვებაც არ სურთ. კლუბის ხაზინა დაცარიელდა, რადგან „ვალენსია“ ჩემპიონთა ლიგიდან მალე გამოვარდა, ამ სეზონში ლიგაში ვეღარ ითამაშებს, ახალ სტადიონს აშენებს და კუმანსაც, ნაადრევად გაშვების გამო, ფული გადაუხადეს. ამიტომ ცდილობენ ვალენსიელები, რომ მუქთად არცერთი ფეხბურთელი არ გაუშვან.

მიუხედავად ფინანსური სიდუხჭირისა, უნაი ემერი გუნდის გაძლიერებას არ გამორიცხავს.

სეგუნდადივიზიონში გავარდნილი „სარაგოსას“ ფორვარდის დიეგო მილიტოს შეძენა „ღამურებს“ სურთ და მწვრთნელმაც ეს დაადასტურა: „ნებისმიერი, ვინც „სარაგოსას“ თამაშებს უყურებდა, იტყვის, რომ მილიტო ძალიან კარგი თავდამსხმელია. ის ჩვენს სამიზნეზეა. „სარაგოსასთან“ კონტრაქტი აქვს, მაგრამ ჩვენ ძალიან გვინდა მისი გადმობირება.

სანტიაგო კანისარესის შემცვლელად მეკარეებიც შეგულებული გვყავს, ისეთები, რომლებიც პრიმერადივიზიონში თამაშობენ და ესპანურიც იციან. მაგალითად, სერხიო ასენიო („ვალიადოლიდი“), მიგელ მოია („მალიორკა“) და კარლოს კამენი („ესპანიოლი“).

გაგა ხუციშვილი

რაულისთვის კარი ღიაა



ლუის არაგონესის და რაულის რთული ურთიერთდამოკიდებულება ყველასთვის არის ცნობილი. ამ კონფლიქტის შედეგად რაულმა ევროპის ბოლო ჩემპიონატიც კი გამოტოვა, რომელიც ესპანელებისთვის ტრიუმფალური აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, პირენეელთა ახალ დამრიგებლად ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნის შემდეგ ნაკრებში რაულის გამოძახება-არგამოძახების საკითხი კვლავ აქტუალურია. რაც შეეხება დელ ბოსკეს, მისთვის ეს საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას: „მე ვერ ვხედავ რაულში პრობლემას. ის აუცილებლად იქნება გამოძახებული ნაკრებში, თუ ამას დაიმსახურებს“ — თქვა 57 წლის სპეციალისტმა.

დელ ბოსკემ, რომელსაც ორჯერ, 2000 და 2002 წლებში, მადრიდის „რეალთან“ და, ცხადია, რაულთან ერთად ჩემპიონთა ლიგა აქვს მოგებული, ახლო მომავალში უნდა დაასახელოს ნაკრების შემადგენლობა. ესპანეთს 20 აგვისტოს დანიასთან ელის ამხანაგური შეხვედრა, შემდეგ კი, სექტემბერში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში — ბოსნიასა და ესტონეთთან.

„ჩვენ შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონობა, რადგან გამარჯვებულთა მთელი თაობა გვყავს გუნდში“ — განაცხადა ევროპის ჩემპიონთა ახალმა თავკაცმა.

არჩილ კოგანიძე

კელტებმა მაკგიდი დაიტოვეს

„სელტიკის“ გარემარბმა აიდენ მაკგიდიმ „შოტლანდიის ჩემპიონებთან ახალი, ხუთწლიანი ხელშეკრულება დადო. გასულ სეზონში 21 წლის მაკგიდი გლაზგოური კლუბის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

„კლუბში საუკეთესო ფეხბურთელების დატოვება ყოველთვის ჩვენი პრიორიტეტი იყო და მხარს ვუჭერთ გორდონ სტრეჩენს აიდენთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში“ — განაცხადა „კელტების“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ ლოუელმა.

ლუიშ ფაბიანოს 25 მილიონი

გასული სეზონის პრემერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირმა ლუიშ ფაბიანომ „სევილიასთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულება სამწლიანია და 27 წლის ბრაზილიელი ამ ხნის განმავლობაში, მთლიანობაში, 25 მილიონ ევროს მიიღებს.

ჰერტამ სისერო იყიდა

ბერლინის „ჰერტამ“ ბრაზილიელი ნახევარმცველი სისერო შეიძინა.

„კმაყოფილები ვართ ამ ტრანსფერით. დარწმუნებული ვარ, სისერო შეძლებს ჩვენი გუნდის გაძლიერებას“ — აღნიშნა „ჰერტას“ დამრიგებელმა ლუსიენ ფავრმა.

შვაბთა ახალი კაპიტანი

გერმანულ „შტუტგარტს“ ახალი კაპიტანი ეყოლება თომას ჰიცლშპერგერის სახით. აქამდე შვაბებს პორტუგალიელი ფერნანდუ მეირა კაპიტნობდა, რომელიც ამ ზაფხულს, სავარაუდოდ, კლუბს დატოვებს.

ელდერი ნანსიში გადავიდა

„ნანსიმ“ ბრაზილიური „უუვენტუდედან“ მარჯვენა მცველი ელდერი გადაიბირა. 20 წლის ფეხბურთელი ფრანგულ კლუბში ოთხი წელი დარჩება.

რენმა ლერუა დაიტოვა

ფრანგული „რენის“ ნახევარმცველმა ჟერომ ლერუამ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. 33 წლის ფეხბურთელს ახალი ხელშეკრულება 2010 წელს ამოეწურება.

წინა სეზონში ლერუამ 31 მატჩი ჩაატარა საფრანგეთის პირველ დივიზიონში და თავი 6-ჯერ გამოიჩინა.

პსჟ-მ ჟიული გაიფორმა

ლიუდოვიკ ჟიული ოფიციალურად გახდა პსჟ-ს წევრი. დედაქალაქელებმა ყოფილ „ჯალოროსისთან“ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს და 7-ნომრიანი მაისურაც გადასცეს.

როგორც ჟიულიმ განაცხადა, იგი უკმაყოფილო იყო „რომას“ შემადგენლობაში გამოსვლით, რადგან მოედანზე ძალიან მცირე დროს ატარებდა და ამიტომ გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ვილიანუეზა ბლექბერნში

„აუდაქს იტალიანოს“ ჩილელ ნახევარმცველ კარლოს ვილიანუევა ახალ სეზონს ინგლისის პრემიერლიგაში დაიწყებს. „ბლექბერნ როვერსის“ და „აუდაქსის“ ხელმძღვანელობა ვილიანუევას ტრანსფერთან დაკავშირებით უკვე შეუთანხმდა ერთმანეთს.

22 წლის ფეხბურთელი მაისში ესპანურ „რეალ სოსიედადთან“ მართავდა მოლაპარაკებას, თუმც საბოლოოდ ეს ვარიანტი ჩაიშალა.

არჩილ კოგანიძე

ტოტის ნუნუნი



იტალიური „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ისევ იმას ჩივის, სათანადოდ ძლიერი შემადგენლობა არ გვყავს და სკუდეტოსთვის ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდებაო.

შეგახსენებთ, რომ „ჯალოროსიმ“ ჯერჯერობით მხოლოდ ორი კაცი — „ლიკერპულიდან“ იონ არნე რიისე და „სიენადან“ სიმონე ლორია დაიმატა, ხოლო ამანტინო მანსინი, ლუდოვიკ ჟიული და მატეო ფერარი გაუშვა.

„რიისე და ლორია ბრწყინვალე შენაძენებია, მაგრამ მაღალი კლასის კიდევ ორ ფეხბურთელს ველი. თუ გვინდა, რომ „ინტერს“, „მილანსა“ და „იუვენტუსს“ კონკურენცია გავუწიოთ, მინიმუმ ორი კარგი ტრანსფერიც უნდა განვახორციელოთ. ამჟამად შემადგენლობის სიძლიერის მხრივ მხოლოდ მეოთხე გუნდი ვართ სერია A-ში“ — განაცხადა ტოტიმ.

მანსინის წასვლა უდავოდ დიდი დანაკარგია, თან ბრაზილიელმა ასევე ექსრომაელი რუმინელი კრისტიან კივუს გზა გაიმეორა და ბოლო წლებში „გლადიატორთა“ მთავარი კონკურენტის, „ინტერის“ შემადგენლობაში ჩაირიცხა.

ფრანჩესკო ტოტი: „ნერაძური“ თავის შემადგენლობას ჩვენი დასუსტების ხარჯზე აძლიერებს — იმის შესაძლებლობა აქვს, რომ სხვა კლუბებს წამყვანი მოთამაშეები წაართვას, ჩვენ კი არა“.

„რომას“ ჟულიუ ბაპტიშტას, როისტონ დრენტეს, ხოსე ანტონიო რეიესსა და სხვა ფეხბურთელებს უკავშირებენ. დღეს აქცენტი ბაპტიშტაზე კეთდება.

„ბაპტიშტა მომწონს და იმედია, მას დავიმატებთ, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. ამის შემდეგ, კიდევ ველი ტრანსფერს“ — აღნიშნა ტოტიმ.

„ერ პუპონეს“ საწადელი შეიძლება აუსრულდეს, რადგან „რომას“ მფლობელმა სენსების ოჯახმა კომპანია Unicredit-თან კონტრაქტი გაახანგრძლივა და წესით, კლუბში მეტი ფული უნდა გაჩნდეს.

„ვეცდებით, წარმატებები გავიმეოროთ — აგრძელებს ტოტი — გვინდა, უფრო მეტს მივაღწიოთ, ვიდრე მხოლოდ იტალიის თასის მოგებას. მომავალ სეზონში ჩემპიონა ლიგის ფინალი რომში ჩვენს სტადიონზე გაიმართება და ეს ბევრს ნიშნავს. ასეთი შანსი ჩვენს თაობას მეტჯერ აღარ მიეცემა და ჩემპიონთა ლიგის მოგებას სკუდეტოზე წინ ვაყენებთ“.

„სტადიო ოლიმპიკომ“ ჩემპიონთა ლიგის ფინალს ბოლოს 1984 წელს უმასპინძლა და მაშინ „რომამ“ ფინალში გასვლა შეძლო, მაგრამ „ლივერპულმა“ თავისი მეკარის, ზიმბაბველი ბრიუს გრობელაარის ბრწყინვალე თამაშის წყალობით პენალტების სერიაში გამარჯვებას მიაღწია. ეს მარცხი ტოტის გულში განსაკუთრებით მწარედ ჩარჩა, რაზეც არაერთხელ უსაუბრია.

„მაშინ რვა წლის ვიყავი. მატჩს ტელევიზორით ვუყურე მთელ ოჯახთან ერთად. კარგად მახსოვს რობერტო პრუცოს გოლი და სიჩუმე პენალტების მერე. რომი დადუმებული იყო“ — დასძინა ტოტიმ.

გიორგი კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი

პრემიერლიგა. XIV ტური

ლოკომოტივი 2:2 სპარტაკი

1:0 ბილიალეტდინოვი (23), 2:0 სიჩოვი (42), 2:1 პავლიუჩენკო (72), 2:2 ბაეფნოვი (90)

ტომი 3:1 ხიმკი

1:0 შირკო (36), 1:1 ივანოვიჩი (38), 2:1 მიჩკოვი (40), 3:1 ხარიტონოვი (79)

ნალჩიკი 1:1 კრილია

0:1 ბელოზეროვი (60), 1:1 ამისულაშვილი (68)

ზენიტი 2:0 ამკარი

1:0 ზირიანოვი (30), 2:0 ტიმოშჩუკი (51)

ლუჩ-ენერგია 1:0 დინამო

1:0 ი. შევჩენკო (90)

ცსკა 0:2 მოსკვა

0:1 ივანოვი (5), 0:2 ჩიუკი (69)

ტერეკი 0:0 რუბინი

სატურნი — შინიკი

ზეგ გაიმართება

რუბინი	14	8	4	2	19:11 28
ამკარი	14	8	2	4	18:11 26
დინამო	14	7	3	4	21:17 24
სპარტაკი	14	5	6	3	24:23 21
ლოკომოტივი	13	5	5	3	18:14 20
ნალჩიკი	14	6	2	6	16:17 20
ცსკა	13	5	4	4	19:15 19
კრილია	14	4	7	3	18:14 19
ტომი	14	5	3	6	14:19 18
ზენიტი	11	4	5	2	21:13 17
ტერეკი	13	5	2	6	12:17 17
მოსკვა	14	3	7	4	14:14 16
სატურნი	13	3	5	5	11:11 14
ლუჩ-ენერგია	14	2	6	6	10:17 12
შინიკი	13	2	4	7	14:20 10
ხიმკი	14	1	5	8	18:34 8

უკრაინა

ვიშა ლიგა. I ტური

ტავრია — დნიპრო 0:0; ხარკოვი — ვორსკლა 0:1; მ. დონეცკი — კარპატი 1:0; დინამო — ილიჩევეცი 2:0; კრივბასი — მ. ზაპოროჟიე 1:0; ჩერნომორეცი — არსენალი 0:1; ლვოვი — შახტარი 2:0; ზარია — მეტალისტი 1:1

უნგრეთი

ალსენსკა. XV ტური

გიოტებორგი — გეფლე 3:0; ჰამარბი — იორებრო 1:0; სუნდსვალი — გაის 1:1; ტრელებორგი — ჰალმსტადი 1:2. კალმარი — მალმიო, ლიუნგსკილე — აიკ და ჰელსინგბორგი — იურგორდენი დღეს გაიმართება, ელფსბორგი — ნორრჩიოპინგი კი ზეგ

კალმარი	14	10	2	2	32:11 32
ელფსბორგი	14	8	4	2	18:5 28
ჰამარბი	15	8	4	3	23:16 28
გიოტებორგი	15	7	5	3	23:14 26
ჰელსინგბორგი	14	7	4	3	25:17 25
აიკ	14	7	4	3	17:13 25
მალმიო	14	5	6	3	20:18 21
გაის	15	4	8	3	16:14 20
ჰალმსტადი	15	5	5	5	19:18 20
იურგორდენი	14	4	6	4	14:19 18
ტრელებორგი	15	4	4	7	14:17 16
იორებრო	15	4	3	8	8:20 15
სუნდსვალი	15	3	4	8	15:22 13
გეფლე	15	3	2	10	10:22 11
ლიუნგსკილე	14	3	1	10	11:25 10
ნორჩიოპინგი	14	1	4	9	13:27 7

სუპერეტა

გადადებული მატჩები

სირიუსი — ატვიდაბერგი 1:1 იონკოპინგი — იორგრიტე ქვიდინგი — ლანდსკრონა და ვასბი — დეგერფორსი დღეს გაიმართება

ისლანდია

I დივიზიონი. XII ტური

ვალიური — კეფლავიკი 1:1; ბრეიდაბლიკი — აკრანესი 6:1; ჰაფნარფიორდური — კოპავოგური 4:0. ფიოლნირი — თროტური, ფრამი — ფილკირი და გრინდავიკი — რეიკიავიკი დღეს გაიმართება

ინტერტოტოს თასი 2008

მესამე ეტაპი. პირველი მატჩები

ელფსბორგი (შვედეთი) 1:0 რიგა (ლატვია)
სატურნი (რუსეთი) 1:0 შტუტგარტი (გერმანია)
გრასჰოპერი (შვეიცარია) 3:0 ჩერნომორეცი (ბულგარეთი)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 2:1 ვასლუი (რუმინეთი)
შტურმი (ავსტრია) 0:0 ჰონვედი (უნგრეთი)
ბნეი საჰნინი (ისრაელი) 1:2 დეპორტივო (ესპანეთი)
რენი (საფრანგეთი) 1:0 ტავრია (უკრაინა)
ბრედა (ჰოლანდია) 1:0 რუსენბორგი (ნორვეგია)
ოდენსე (დანია) 2:2 ასტონ ვილა (ინგლისი)
პანიონიოსი (საბერძნეთი) 0:1 ნაპოლი (იტალია)
სივასფორი (თურქეთი) 0:2 ბრაგა (პორტუგალია)

ამჟამინდელი მატჩები

19 ივლისი

დონკასტერი — სკანთორპი 1:1; გრიმსბი — ოლდჰემი 1:2; ოსტენდე — ჰალი 1:1; რეითი — დანდი იუნაიტედი 0:4; კაიზერ ჩიფსი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1; არბროთი — სანდერლენდი 1:3; ბარნეტი — არსენალი 1:2; ბერვიკი — ალოა 0:3; ბერი — ჰადერსფილდი 1:1; კემბრიჯი — ეფერტონი 4:2; ბრიუგე — რუზელარე 2:1; ფორეს्ट გრინი — უიკომბი 2:0; ფულჰემი — სელტიკი 3:1; გრეისი — ჯილინგჰემი 1:0; ჰარტლპული — ნიუკასლი 1:4; დონსი — რედინგი 1:2; მორეკამბი — პრესტონი 0:3; პარტიკი — კარლაილი 0:0; ქუინი — ბარნლი 1:1; როტერჰემი — დერბი 0:0; შალკე — რეინჯერსი 1:0; სტივენეჯი — ქუინზ პარკი 1:3; ტემეუორთი — ჰალიფაქსი 2:0; ტორკი — როვერსი 1:1; რეადინგი — ბლეკპული 0:0; კიოლნი — ვესტ ბრომვიჩი 4:1; დენ ჰა